

დღე

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 ნომერი სუთვაბათი 2011
№ 259 (13556) ფასი 80 თეთრი



ეროვნული
სიზღიძიეთა

13

ქართულეგბათილაფან

ვისი გორისა სარ? დინამოს დნე-ს ანალიზის რატარება სჭირდება

საბარევილო
ფინანსური
ინფორმაციები



კანი
ტაში,
კანი
ყორად
გორელეებს!

ვერ
გააგორებს
დინამორი?!

2-4

რეალის ვერვედფინალშია!




9



დილა, პოუ დილა

დილა შეხვდა ეტაპზე გასულტა



დილას ფეხბურთელები ქომაგებს მადლობას უხდებიან

დავით ასპანიძის ფოტო

02.11. 2011. კართლი. 600 მაყარაბალი

დილა 0

ლინამო 0

პირველი მატჩი 2:2

დილა	ლინამო
4-6-1	4-3-3
მცვენი: ლომიძე	ლორია
გაბრამია	კახიანი
ძარბაზაშვილი	კვიციანი
გვილაშვილი	მელიქიძე
რამაშვილი	ალვაშვილი
მურგული	კვიციანი
პ. ხორგუაშვილი	კოჭიაძე
მორგული	კოჭიაძე
სადაშვილი	ჩხარტიანი
ახალაძე	კახიანი
მწკრიანი	მწკრიანი
რ. სოლომონიძე	პ. ბარსია

დილა

46. პ. ხორგუაშვილი — ნოზაძე

57. გოგიანი — დ. ჩაბუაძე

84. სადაშვილი — მ. თოფჩია

სამხარეთის მწკრივი: მერაბი, მატყაფარიანი, ვ. ხორგუაშვილი, ი. მერაბი

ლინამო

50. ალვაშვილი — იაგუა

60. კოჭიაძე — ლეკვიანი

69. კახიანი — რამაშვილი

სამხარეთის მწკრივი: ნადირაძე, გ. პერაია, ჯილაური, თეთურმანიძე

გაზრდილი: რამაშვილი (88)

არბიტრი: დ. ხარტიანი

ცნობილი სიმღერის სათაურში ტყუილად არ დავესხებით, გორში გუშინ სასიამოვნოდ შეხვდით საქმე. „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ მეოთხედფინალში გასულით გახარებული გორელი ფეხბურთელები და მათი ფანები დიდხანს ულოცავდნენ ერთმანეთს. აქაური ფეხბურთის ქომაგები ასეთი გახარებული იმის მერე არ გვინახავს, ხუთი თვის წინ გადათამაშებით უმაღლეს ლიგას რომ დაუბრუნდნენ. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ამ შეხვედრის მიმართ დიდი ინტერესის გამო „ქართლზე“ სპორტული თუ არასპორტული მედიის იმდენი წარმომადგენელი შეიკრიბა, რამდენიც 2006 წელს ჯონ მაკკინის შიდა ქართლში სტუმრობისას, როდესაც ამერიკელი სენატორის ვერტმფრენი „ქართლის“ მოედანზე დაჯდა და იქიდან გამომდინარე ლიგის ხეობაში. მაყურებელმა სტადიონის 500-კაციანი ტრიბუნაც გაავსო და არც ერთი იმედი არ გამოვიტყა.

მასპინძლებმა თამაში იმის მიხედვით წარმართეს, რის საშუალებასაც მეტოქის ძალა და ორრუნდანი დაპირისპირების

პირველი, 2:2-ით დასრულებული შეხვედრა აძლევდათ. რამაზ სოლომონიძის თავისი გუნდისთვის, მოლოდინისამებრ, დაცვაში განსაკუთრებული ყურადღებით გარჯა დაევალებინა, შეტევა კი ეულ ფორმად რომან ახალაშვილის მიენდო, რომლის უკანაც მისივე სენია და ასევე ნომინალური თავდამსხმელი გოგიანაშვილი მოქმედებდა. ალექს გარსია მიზნის მისაღწევად, ანუ გოლის გასატანად ფლანგებიდან კახიანი და კოჭიაძე, ცენტრში კი ჩისკო განმეცხა. საკმაოდ დაძაბული შეხვედრა დიდად სანახორივი ვერ გამოდგა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა სახიფათო მომენტების სიმცირე. უპირატესობას „დინამო“ კი ფლობდა, მაგრამ სტუმრებს რეალური სიფათის შექმნა გვარინად უჭირდათ. გორელების დაცვა ქარქუზაშვილისა და ბაქრაძის მეთაურობით ამ დღეს თითქმის გაუვალი იყო, არ ვაძიოდა თბილისელთა პასები მასპინძელთა დაცვის ზურგს უკან. მართალია, ესპანელებმა რამდენჯერმე

ინდივიდუალური რეიდით შეძლეს შეყრილადის კართან მიახლოება, მაგრამ „დილას“ მეკარემა უშეცდომოდ ითამაშა. უნდა აღინიშნოს მოედნის ცენტრში გარსიას გუნდის ნახევარმცველთა დომინირებაც ორივე ტაიმში. თამაშგარეშ ზღვარზე მოთამაშე მათი დაცვის ხაზს კი შესვენებამდე რამდენჯერმე კინაღამ დაუხსნტა ახალკაცი და იტულებული გახდნენ, მოედნის ამ მონაკვეთშიც მაქსიმალური ყურადღებით ყოფილიყვნენ, რაც დიდი ძალეობით შეტევაში ჩართვას გამოიწვევდა. პირველ ტაიმში ყველაზე რეალური საგოლე მომენტი 37-წუთზე შეიქმნა, როდესაც ჩისკო აღმოჩნდა კართან, მაგრამ ვერ იხერია. ისე, არა მარტო ამ ეპიზოდის გამო, ზოგადად, ჩისკო „დინამოს“ ამ შეხვედრაში ვერაფრით დაეხმარა. მეორედ გორელები რობერტინოს შემოსვლიდან რამდენიმე წამში მისი ახლოდან დარტყმისას გადაჩნენ. ეს იყო და ეს, თუ არ ჩავთვლით შეყრილადის კართან შექმნილ რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტს, სა-

ქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდს გატანის მანსი აღარ ჰქონია. არ იფიქროთ, რომ „დილას“ ერთადერთი საქმე კარის უსაფრთხოება იყო, გორელები შეტევაზეც ზრუნავდნენ, მეორე ნახევრის შუაწელში ისინი ერთგვარად „გათამამდნენ“ კიდევ და რამდენჯერმე მწვავედაც მიეძღვნენ ლორიას კარს, თუმცა მათ მოქმედებაში ამკარად ჩანდა გუნდის უმთავრესი მიზანი: როდესაც მეტოქე „დინამო“ და ნულოვანი ფრე გყოფნის სათაყო ეტაპის გადასალახავად, ზედმეტად არ უნდა გარისკო. ყველაზე ზედგამოჭრილი კი, რაც „დილას“ თამაშზე ითქმოდა, უდიდესი მონდომებაა. თავდაუზოგავი თამაშით გორელებმა შეხვედრის ბოლოს „დინამოს“ კიდევ უფრო მოჭერილ მარნუხებსაც გაუძლეს და ღირსეულად გადალახეს მერვედფინალი.

გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის რამაზ სოლომონიძის ხელმძღვანელობით „დილა“ ორი მატჩი გამართა და, მართალია, ორივე ფრით დასრულდა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ პირველი მათგანით

ოთხმეტრიანი მარცხიანი სერია შეწყვეტილია, რომ საქართველოს მრავალწინ ჩემპიონს დაუსხლტა და მეოთხედფინალში გააღწია. უმაღლესობა იქნება გია ცეცაძის დაინყებაც, პირველი სათაყოში „დინამოსთან“, თანაც სტუმრად, გორელებმა ხომ სწორედ მისი თავკაცობით მოახერხეს.

მაგრი შაფაზა:

ალექს გარსია (დინამო): „სამწუხაროა, რომ სათამაშო უპირატესობა გოლში ვერ გარდავსახეთ და მართალია, არ ნავეგივა, მაგრამ თანაც გათამაშებას მაინც გამოვეთქმეთ. არადა, გვერდისა საგოლე მომენტები, რომლებიცაც აუცილებლად უნდა გვესარგებლა“

რამაზ სოლომონიძე (დილა): „ძალიან მძიმე მატჩი იყო. მეტოქედ დიდი კლუბი გვყავდა და სათამაშო ტაქტიკაც იმის მიხედვით ავირჩიეთ, რაც ამ ეტაპის გადასალახავად იკმარებდა. ფეხბურთელებმა დაველგება კარვად შეასრულეს და წარმატება უდავოდ დაიმსახურეს“

ვასილ ბალახაძე გორიდან

მსაჯთა საფინჯო

გვანსელაქის ზანსგაფონური გაგონდა და მოსალოდნელი სნოზა ფიფადან

„ზანსგაფონისა“ და „ტორპედოს“ დაპირისპირება მხოლოდ გასული ტურის კი არა, მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენაა და წარმოადგენს იყო, ამ მატჩს მღვლარების გარეშე ჩაველო. შეხვედრა ნამდვილ საფეხბურთო გარემოსა და ვითარებაში ჩატარდა, მაგრამ სადავო მომენტები მაინც იყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელ ლევან ფანიაშვილის აზრით, თორნიკე გვანცელაძემ მატჩს თავი წომამლურად გაართვა და ყველაზე საკამათო ეპიზოდში, როცა მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო. თავის მხრივ, პრეტენზიები „ზანსგაფონის“ მცველ ედიკ საჯიას რეპლიკის მიმართ სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ სამსაჯო კომიტეტს საგანგაშოდ არც ეს ფაქტი მოუწევია.

„ზანსგაფონი“-„ტორპედოს“ გარდა, სხვა მატჩებმა განსაკუთრებული შფოთის გარეშე ჩაიარა და სადავო ეპიზოდებიც, ფაქტობრივად, არ ყოფილა.

გვანცელაძესთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი კიდევ ის არის, რომ შესაძლოა, მალე იგი ფიფას არბიტრი გახდეს. როგორც კი მოსფილი ფეხბურთის მმართველი ორგანო გადაწყვეტს, რომ საქართველოდან ფიფას მებრთე არბიტრი შეარჩიოს, ჩვენი ფედერაცია პრიორიტეტს სწორედ გვან-

ცელაძეს მიანიჭებს. ეს სასიამოვნო ამბავი კი შესაძლოა, წლეულსვე მოხდეს.

თორნიკე მხოლოდ 26 წლისაა, საკმაოდ მოკლე დროში შეძლო კარიერული საფეხურების გავლა და ჩვენი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ წარმატებულ არბიტრად იქცა. შეგახსენებთ, დღეისთვის საქართველოს ფიფას ოთხი არბიტრი ჰყავს: ლევან კვარაცხელია, ლაშა სილაგავა, გიორგი ვადაჭკორია და დავით ხარტიანი. თითოეულ ქვეყანას ფიფას ათი მსაჯის ყოლის უფლება აქვს, მაგრამ ეს კვოტა მაქსიმალურად მხოლოდ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებს აქვთ ათვისებული.

ქომაგებში გაჩენილ კითხვას, ტურის ცენტრალურ მატჩს ყოველთვის რატომ არ ემსახურება ფიფას არბიტრი, ფანიაშვილი ასე პასუხობს: „ამაში გასაკვირი არაფერია. ბუნებრივია, საბასუხისმგებლო შეხვედრებს უფრო ხშირად ფიფას არბიტრებს ვანდობთ, მაგრამ კვალიფიკაციის ნაკლებობას არც სხვა მსაჯეები უჩივიან და მათი განვითარებისთვის ცენტრალურ მატჩებზე დანიშნვა აუცილებელია. ასე ხდება ყველა ქვეყანაში და გამოჩაკლისი არც საქართველო“.

რაც შეეხება ქართველი მსაჯების საერთაშორისო გამოცდილებას, უკვე იცით, რომ მათ ბოლო პერიოდში სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებთა ვეროპის ჩემპიონ-

ატის შესარჩევი მატჩები იმსაჯეს. უახლოესი მიწვევა კი ლაშა სილაგავამ მიიღო, რომელიც 10 ნოემბერს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრას განსჯის. თუ რომელს, ეს ჯერ კონფიდენციალურია. სილაგავას ასისტენტები ზაზა მენთეაშვილი და ლევან თოდრია იქნებიან, სათადარიგო მსაჯედ კი გვანცელაძეა დანიშნული.

რამდენიმე დღის წინ ქართველმა მსაჯეებმა ტესტირება გაიარეს და უარყოფითი შედეგი სამმა მათგანმა აჩვენა. როგორც ფანიაშვილმა გვითხრა, მათ ტესტის ჩაბარებისა და უმაღლეს ლიგაში „დაბრუნების“ მანსი სულ მალე მიეცემა.

ფანიაშვილი თბილისში გუშინ დაბრუნდა. იგი კვიროსზე იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი აპოელ-ისა და პორტუგალიური „პორტუს“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მსაჯეთა დამკვირვებლად იყო მივლენილი. ფანიაშვილი აპოელ-ის თამაშით აღფრთოვანებული დარჩა: „კვიპროსული ფეხბურთის დონე საგრძნობლად ამაღლებულია. აპოელ-ს შესანიშნავი გუნდი ჰყავს და სავსებით კანონზომიერად გადადგა დიდი ნაბიჯი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისკენ“.

ქართველ მსაჯეთა თავკაცს წლეულს, სავარაუდოდ, კიდევ ერთ საევიროთასო მატჩზე მიიწვევენ.

ნატის შესარჩევი მატჩები იმსაჯეს. უახლოესი მიწვევა კი ლაშა სილაგავამ მიიღო, რომელიც 10 ნოემბერს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრას განსჯის. თუ რომელს, ეს ჯერ კონფიდენციალურია. სილაგავას ასისტენტები ზაზა მენთეაშვილი და ლევან თოდრია იქნებიან, სათადარიგო მსაჯედ კი გვანცელაძეა დანიშნული.

რამდენიმე დღის წინ ქართველმა მსაჯეებმა ტესტირება გაიარეს და უარყოფითი შედეგი სამმა მათგანმა აჩვენა. როგორც ფანიაშვილმა გვითხრა, მათ ტესტის ჩაბარებისა და უმაღლეს ლიგაში „დაბრუნების“ მანსი სულ მალე მიეცემა.

ფანიაშვილი თბილისში გუშინ დაბრუნდა. იგი კვიროსზე იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი აპოელ-ისა და პორტუგალიური „პორტუს“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მსაჯეთა დამკვირვებლად იყო მივლენილი. ფანიაშვილი აპოელ-ის თამაშით აღფრთოვანებული დარჩა: „კვიპროსული ფეხბურთის დონე საგრძნობლად ამაღლებულია. აპოელ-ს შესანიშნავი გუნდი ჰყავს და სავსებით კანონზომიერად გადადგა დიდი ნაბიჯი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისკენ“.

ქართველ მსაჯეთა თავკაცს წლეულს, სავარაუდოდ, კიდევ ერთ საევიროთასო მატჩზე მიიწვევენ.



ლევან ჰანიაშვილი

თორნიკე გვანცელაძე

მთავარი რედაქტორი თინათინ ბაჩიაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაფარიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მილიონი ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: lelold@gmail.com

მისამართი: იოსებძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციისთან გაერთიანებული გაზეთის კუთვნილი გასაუბრისა და ფოტოების სხვა პაქტით და ელექტრონულ საშუალებებზე გამოცემა აკრძალულია

02.11. ლანჩხუთი. 33. მუხრანელი. 300 მაყარაბალი

კოლხეთი	0
ზესტაფონი	0
პირველი მატჩი 1:2	
კოლხეთი	ზესტაფონი
4-3-2-1	4-1-3-2
ნაიკაშვილი	ბაგრატიანი
ცხიტიანი	ბაგრატიანი
ლონაშვილი	კობახიძე
ინკვიციანი	მინაძე
ლაშქვაძე	დვინაძე
გაბაშვილი	გაბაშვილი
გაბაძე	ფრია
გომიშვილი	გაბაშვილი
ციცხლაძე	დვინაძე
გვრიტიანი	გვრიტიანი
დ. მახარაძე	გ. მახარაძე

კოლხეთი

62. გულუა - პ. დათუნაშვილი
74. მდივნიშვილი - ნიკარაშვილი
90. შავგულიძე - გომიანი
სამსაღარიმოები: ხარშილაძე, კლა-სონია, თედიაშვილი, ცხადია

ზესტაფონი

66. ფიფია - სარაღიანი
73. აფციაური - შანაშვილი
82. გორგიაშვილი - შარაძე
სამსაღარიმოები: მეშველიანი, ალა-დაშვილი, ელივაძე, საგვიია

გაფრთხილება: გულუა (15), მამადაძე (90)
არბიტრი: ხ. გაბნიძე (გორი)



ავტორის ფოტო

ღანიშნე, გაბნიძე, თორაძე გაბნიძე!

ფორტუნა კლირებს სწყალობს! მსაჯიც?

ლი და დაახლოებით 35-40 მეტრიდან ჩი-ბულიად გაისროლა კარის მიმართულე-ბით - ზესტაფონელები მეკარის გამოცდილებაზე გადარჩნენ, მან ბურთის კუთხურზე გადაგდება რის ვაი-ვაგლა-ხით, მაგრამ მინც მოახერხა.

ეს იყო მატჩის ყველაზე გამორჩეუ-ლი ეპიზოდი და სხვა რეალური სახიფა-თო მომენტი „ზესტაფონსაც“ კი არ ჰქონია. მეტიც, იმერლებმა მთელ შეხ-ვედრაში ერთადერთხელ გამოავლენი-ნეს ოსტატობა, როცა პირველ ნახევარში ნიკა გელაშვილი მცველებს გაეცა და საჯარიმოში ფეხმძვინკემა ნადირაშვილის კარისკენ გაისროლა.

მართალია, საგულე მომენტებით შეხვედრა გამორჩეული არ იყო, მაგრამ „მასპინძელთა“ სასახელოდ უნდა ითქ-ვას, რომ მატჩის ინტრიგა ბოლომდე შეუ-ნარჩუნეს და შეხვედრის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე იყო ეპიზოდი, რომელსაც შეეძლო, მატჩის ბედი მათ სასარგებლოდ შეეტრიალებინა: მეტო-ქის საჯარიმოში ბურთისთვის ლევან შავგულიძე მცველთან ერთად იბრძო-და. ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ კოლხმა ტანის ჩადგმა მოახსრო და ამ დროს ის

ქლასი და მონღოლთა

02.11. რუსთავი. ფოლადი. 500 მაყარაბალი

მეტალურგი	2
ჩიხურა	0
პირველი მატჩი 1:1	
1:0 კვარაცხელია (38), 2:0 მოდებაძე (86, პენალტი)	
მეტალურგი	ჩიხურა
4-2-3-1	4-1-4-1
ბელიაშვილი	თევზაშვილი
მსხვილაძე	ლ. ჭელიძე
კახაძე	გუგუშვილი
კვარაცხელია	ბერიანიძე
ჯაფარიძე	ჩიკვიანი
ძაგინაძე	ზაზანიძე
რაზმაძე	ნ. კახაშვილი
სამსაღარიმო	ლილაშვილი
მინაშვილი	ლ. ნოზაძე
ი. მისურაძე	სილაგაძე
მოდებაძე	მოდებაძე
გვრიტიანი	გვრიტიანი
ა. შორიაშვილი	ს. ფრია

მეტალურგი

77. მიქაბერიძე - ლომოვოლსკი
82. რაზმაძე - გავაშვილი
88. ქავთარაძე - ნაგაშვილი
სამსაღარიმოები: ბათიაშვილი, ჩად-უნელი, პავლიაშვილი

ჩიხურა


60. სილაგაძე - სულაშვილი
65. ლილაშვილი - ივანიშვილი
77. ნოზაძე - მინაძე
სამსაღარიმოები: მწყერაშვილი, ცარ-ციძე, ზეგვიანი

გაფრთხილება: ჭელიძე (60), კვარაცხელია (67)
არბიტრი: ი. ხეციაძე

...მატჩის დასაწყისი სტუმართა იერი-შებით წარმართა: პირველსავე წუთზე ნიკა კვარაცხელია საპირისპირო ფლანგ-ზე მყოფი გიორგი სილაგაძე მოძებნა, თუმცა ამ უკანასკნელის დარტყმა არა-ზუსტი გამოდგა. სულ მალე კვარაცხე-ლი კარს, მაგრამ გრიგოლ კვარაცხელია ჩინებულ ნახტომში ბურთი კუთხურზე მოიგვრია. აი, ამის შემდეგ კი „მეტალურ-გი“ აშკარად გააქტიურდა და დროის მოკლე მონაკვეთში საინტერესო „დუე-ლის“ მომსწრენიც გახდით: მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე მოასპარეზე გი-ორგი სეთურიძემ ორჯერ შეასრულა სახიფათო დარტყმა, მაგრამ ორივეჯერ უშეცდომოდ ითამაშა „ჩიხურას“ მეკარე რევაზ თევზაშვილს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მე-კარემ თავისი უნდი იმ ეპიზოდშიც გა-დაარჩინა, როცა ირაკლი მოდებაძის ეფექტური დარტყმა მოიგვრია; თუმცა, ტაიმის მიწურულს თევზაშვილმა გასო-ლზე შეცდა და გივი კვარაცხელიამ ზუსტი თავური დარტყმით რუსთაველ კლუბში დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. ისე, ერთ ეპიზოდში მას-პინეტლთა სასარგებლოდ პენალტის და-ნიშნავე შეიძლება, — ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ თავის საჯარიმოში მყოფს „ჩიხურას“ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა...

...ორი წლის წინ, მაშინაც პირველ ლი-გაში მოასპარეზე „ჩიხურამ“ მართლაც ხმაურიანი სენსაცია მოახდინა: თასის მერვედფინალში რუსთავის „ოლიმპს“ 1:0 მოუგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. ეს გუნდები ამჟღავნებდა სწორედ მერვედფი-ნალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაგრამ ორრუნდის პაექრობაში რუსთა-ველებმა იმარჯვეს და მეოთხედფინალის საგზურიც მოპოვეს. თუმცა, ვერაინ-იტყვის, რომ კონკრეტულად მატჩის შე-გირდებმა ამას იოლად მიიღწიეს: „ჩიხურამ“ კარგად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და გუნდულ მატჩს ინტრიგა ბოლო წუთამდეც შეუ-ნარჩუნა. ერთი მხრივ, ეს ფაქტი გასაკ-ვირი არც უნდა ყოფილიყო: გამოცდილ და კვალიფიციურ მწვრთნელს სოსო ფრუიძეს თავის გუნდში ისეთი ფეხბურ-თელები ჰყავს, რომელთა თითქმის აბსო-ლუტურ უმრავლესობას უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის არაერთილიანი გა-მოცდილება გააჩნია. თუმცა, გუნდის მას-პინეტლმა (ჩემპიონატში ბოლო ორი შეხვედრისგან განსხვავებით) მონდომე-ბული თამაშითაც ასაიმოვნეს თავიანთ ქომაგებს და ამას გარდა, საშემსრულებ-ლო ოსტატობაშიც აჯობეს მეტოქეს.

სიტუაცია



სოსო ფილიამ (მარჯვნივ) თამაშს თვალი ტრიბუნიდან ადევნა.

კოლხური ბრძენა(ლი)

ფოთში ყველა კვაყოფილია: სანაია მწვრთნელად, წინამორბედი - დირექტორად!

როგორც იცით, ფოთის „კოლხეთი“ წინა, რუსთავის „მეტა-ლურგთან“ შეხვედრაში დავით მახარაძემ გაიყვანა მოედანზე. ასევე იყო გუნდის სათასო შეხვედრაშიც: ჯერ კიდევ რუსთა-ველებთან მატჩამდე გაერცვლა ინფორმაცია, რომ სოსო ფი-ლიას ხობის „კოლხეთის“ თავკაცი გელა სანაია შეცვლიდა. ამ ყოველივეს შემდეგ ერთობ მოულოდნელი იყო ის, რომ „ზეს-ტაფონთან“ მატჩისთვის გუნდს ისევ ფილია ამზადებდა! მორი-გი და კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა იყო ისიც, რომ ის სათასო შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს!

რა გამოვიდა? ფილია წავიდა თუ გაუშვეს, თამაშზე გუნდი მახარაძემ გაიყვანა, სანაიას ინვესტიცია, გუნდს ისევ ფილია აკარ-ჯიშებს და თამაშზე ისევ მახარაძეს გააყვას. ჩვენც შევეცადეთ ამ მეტად ჩახლართულ სიტუაციაში გარკვევა. როგორც გვითხ-

სხვა მატჩები

სპარტაკი-გურანი	1:1	02.11. საჯარაგოს ბაზა
გოლები: 0:1 სამადაშვილი (62), 1:1 მეტრეველი (76)		
ვიტ ჯორჯია-ჭიათურა	2:0	02.11. გვიანა მცხეთა პარკი
გოლები: 1:0 ჩიმაკაძე (7), 2:0 ჩიმაკაძე (11)		
სიონი-ბაია	1:2	02.11. ბოლნისი თ. სტადიონი
გოლები: 1:0 გ. ექოპირიძე (60), 1:1 შ. ლომია (62), 1:2 აფაქიძე (70)		
გაბრა-სულორი	4:0	02.11. თბილისი გურანი (ჩაბუა)
გოლები: 1:0 ხოჯაშვილი (26), 2:0 შარიქაძე (54), 3:0 ჯერემია (70), 4:0 კვანტალიანი (90)		

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ტასი. 1/8 ფინალი

შენეხებილი სარიით ბერთხელფინალში

02.11. ქუთაისი. ბორჯაღო. 1000 მყარაბალი

ტორაქლო	1
ბათუმი	1

პირველი გარე 2:0

1:0 მეგრულადე (22. ფარულავას პასით),
1:1 დასამიძე (85. მალაზონის პასით)

ტორაქლო	ბათუმი
4-4-2	4-1-4-1
ძვილითაია	გამინაშვილი
დ. ფოფხაძე	ფარტაძე
ფარულავა	ხუნი
გამეზარდუაშვილი	ქორიძე
ჩიკვილაძე	მაკარაიანი
ოსკალიანი	შანია
გ. დამთხაიშვილი	დანაძა
ქუნიანი	თხეველი
თარხნიშვილი	მალაზონია
საბანაძე	სამსიქიანი
მებრძოლი	ბაბიქიძე
მგვრიტაძე	მგვრიტაძე
გ. მამუკაძე	ი. ნასაშვილი

მორაქობი

82. კუნიანიძე - ტაბატაძე
82. საბანაძე - ჯ. გომეზაძე
90. თარხნიშვილი - მარკოზაშვილი
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, გურული, მირცხულავა, გოცირიძე

ბათუმი

46. თევდორაძე - ა. მუხომბერი
78. გარბიჭიძე - იმნაშვილი
83. ცანავა - ბერიძე
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, გურული, მირცხულავა, გოცირიძე

გაფრთხილება: შანია (84)
არბიტრი: ი. ურუშაძე

დენე და ანგარიშის გათანაბრება ბოლოსდა ბოლოს მოახერხეს. ქუთათურებს ამ ფრის გამო გული დიდად არ დასწყევტიათ, რადგან პირველი მატჩი 2:0 ჰქონდათ მოგებული და შემდეგ ეტაპზე ზედმეტი ძალების დაუხარჯავად გავიდნენ.

გეგუჩაძემ „ზესტაფონთან“ მძიმე მატჩის შემდეგ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა და ძირითადად გამოიყენა ქვილითაია, ფარულავა, ჩიკვილაძე, კუნიანიძე, იოსელიანი და მეგრულადე. შეხვედრის საწყის ნუთებში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და გოლის გატანასთანაც ახლოს იყვნენ. **ლაშა გარბიჭიძე** მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ თამაშს მონყურებული მაქსიმე ქვილითაია კარგად გაისარჯა და ქუთათურები გოლისგან იხსნა. სამთავროდ, შანია ხელიდან არ გაუშვა ქუთათისელთა გამოცდილმა ფორვარდმა გია მეგრულადემ, რომელმაც 28-ე ნუთზე ფარულავას ფლანგური ჩანოდევის შემდეგ ბურთი ვარდნილ გადგზავნა კარში - 1:0. გოლმა ბათუმელები არ დააბნია, ისინი ბევრს უტყვევდნენ, თუმცა რეალურ საგოლე სიტუაციამდე საქმე არ მიდიოდა. 31-ე ნუთზე ცანავას ძლიერი დარტყმა ქვილითაიამ ხელეობი გააქვავა. ტაიმის ბოლოს კი ჩიკვილაძის კარგი გადაცემის შემდეგ **საბანაძეს** შეეძლო გატანა, მან ცრუმოდრობით ორ მეტოქეს აუარა გვერდი, კარშიც დარტყა, მაგრამ მეკარე **შოთა მამინაშვილი**მა ბურთი კუთხურზე მოიგვრია.

მატჩის სცენარი მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა. უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, თუმცა ხიფათი ორივე კართან თანაბრად იქმნებოდა. 63-ე ნუთზე ბათუმელები გოლს გადაურჩნენ, იოსელიანის ჩანოდევის შემდეგ მეგრულადე თავით ურტყამდა, მაგრამ აცილა. სტუმრებმა მატჩის ბოლოს შეტევები გამომწვევს და ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს. **დავით მალაზონის** გადაცემით მეკარესთან პირისპირ **ნიკა დიასამიძე** დარჩა და ქვილითაიას შანია არ დაუტოვა - 1:1. მატჩის მიწურულს დიასამიძეს მეორე გოლის გატანა და ბათუმელებისთვის გამარჯვების მოპოვებაც შეეძლო, მაგრამ მეკარემ აღარ დაანება და თამაშიც ფრით დასრულდა.

დავით კოსტანიძე ქუთაისიდან



ფოტო: www.fctorpedo.ge

სიტუაცია

ნიკოლოზ ფირცხალავა თავისუფლების მოლოდინშია

ახლახან თბილისის „დინამოდან“ მისი ყოფილი კაპიტანი **ნიკოლოზ ფირცხალავა** გაუშვეს. 24 წლის ფეხბურთელი თავის დროზე დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ მენისკის წარუმატებელმა ოპერაციამ ფორმიდან ამოაგდო და ლამის ორი სეზონი გაუცდა. ეტყობა, თბილისელთა თავკაცმა **ალექს გარსია**მ ნიკოს შესაძლებლობებზე ბევრი არაფერი იცოდა, ფორმის აღდგენას არ დაელოდა და გუნდიდან გაუშვა.

ლაპარაკი იყო, რომ ექს-დინამოელი ქუთაისის „ტორედო“ და „ზესტაფონი“ დაინტერესდნენ, მაგრამ ფირცხალავამ „ლელოსთან“ ეს ხმები უარყო.

„ჯერ მოლაპარაკება არც ერთ გუნდთან არ დამიწყია, რადგან „დინამოსთან“ კონტრაქტის განწყვეტაზე სიტყვიერად შეთანხმდი, იურიდიულად კი თავისუფალი აგენტის სტატუსი ჯერ არ მომიპოვებია. მაგრამ ვათავისუფლების ფურცელს მალე მომიცემენ. ქუთაისის „ტორედოსთან“ და „ზესტაფონთან“ ურთიერთობა ზე ლაპარაკი კი ჯერ ნადრევია, რადგან თავისუფალი აგენტის სტატუსის გარეშე გუნდები ფეხბურთელთან საქმის დაჭერას ერიდებიან.

ეს სტატუსი რომც მქონდეს, მეორე ეტაპამდე ახალ გუნდში ჩაირიცხვის უფლებამაინც არ მაქვს, რადგან სეზონი ერთ გუნდში დავიწყე. ამიტომ ფორმის შესანარჩუნებლად ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ზამთრის სატრანსფეროს ფანჯრის გახსნას ველოდები“ - გვითხრა ფირცხალავამ.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ



„ზესტაფონთან“ მოგებული შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ქუთაისის „ტორედოს“ 18 წლის მცველი გიგი იოსელიანი იყო - სწორედ მისი, შეცვლაზე შესული მარჯვენა მცველის იყოს გადაცემა, რომელსაც გოლი მოჰყვა და, საერთოდაც, „თავისი“ ფლანგი აიკლა. მართალია, ბოლო ნუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა ანგარიში ვერ გაზარდა, მაგრამ მესხიერებაში ამოტივტივდა ახალგაზრდული ნაკრების შეიცარასთან თბილისური შეხვედრის მეორე ტაიმშიც, ასევე შეცვლაზე შესული არანაკლები აქტიურობით რომ გამოიჩინდა და საერთო „კონტურებიც“ გამოიკვეთა - ეს ახალგაზრდა საკმაოდ პერსპექტიული მოთამაშეა.

- ფეხბურთელი ერთი შეხვედრის ნორმალურად ჩატარებით თუ დაკმაყოფილდა, ცუდად ყოფილა მისი საქმე. მატჩის შემდეგ მითხრეს, შენი ასაკისა ბევრი ნიჭიერი გვახსოვს, მაგრამ მეტი მოეწონებოდა ვერაფერს მიაღწიესო. მე კი ძალიან თვითკრიტიკული ვარ, საკუთარი თავით არასოდეს ვარ კმაყოფილი და ვერგატანალობა გოლმა საფიქრალიც გამიჩინა. „ზესტაფონთან“ ეს მომენტები 0:0-ზე რომ ყოფილიყო და ვერ მოგვეყო,

ლაბიონერი

მიცა-ქაპიტანმა ლაშა ჯაკობიამ თავი აღიღვინა

საქართველოში კარგად ეხატებათ სარმის გამოდგა...

შპრანში დაბრუნებულმა ლაშა ჯაკობიამ გასულ შაბათს სეზონში პირველი დიდი მითხრეს. პირველი ლიგის მე-18 ტურში „ზაკარპატია“ უფროდში „ზირკას“ სწორედ 31 წლის ქართველის წყვილი გოლით მოუგო 2:0. სულ მიმდინარე სეზონში ჯაკობიამ 13 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა და „ზაკარპატიას“ ლიდერი გახდა, თავად გუნდი კი ცხრილის თავშია.

არადა, ეს ყველაფერი მოულოდნელია, რადგან უკრაინაში ორი წლის წინ მიღებული დისკვალიფიკაციის შემდეგ ჯაკობიამ კარიერის განახლება ცხინვალის „სპარტაკში“ სცადა და, გუულახდით, მაგრამ ვთქვათ, ბევრი არაფერი გამოსდიოდა, რასაც თავდაცვ ალიარებს.

ლაშას გუშინ უკრაინაში დავუკავშირდით.

მეტიც შემიძლია. არადა, ძალიან მძიმე მომენტები მქონდა, ფეხბურთიდან წასვლასაც ვფიქრობდი, განსაკუთრებით დისკვალიფიკაციის შემდეგ. „სპარტაკში“ თამაშის მერე კი საერთოდ გული მქონდა აცრუებული, რადგან ჩემი ფორ-



მიდან გამომდინარე, მაღალ დონეზე თამაშის იმედი თითქმის გადაწურული მქონდა. ახლა რომ ვანალიზებ, საქართველოში ჩემი პოზიციები, მაგ პირბრუნებით ძალიან ძნელია, რამეს მიაღწიო, თუნდაც, ელემენტარულად, ფორმა აღიდგინო.

მაგრამ გვერდით მედგნენ ოჯახის წევრები და ჩემი უახლოესი მეგობარი

სერგო ქუთათელაძე, რომლის წყალობითაც აღმოვიჩნდი „ზაკარპატიაში“.

- **90 ნუთის გაძლება არ გიჭირს?**

- პირველი რვა ტურში ნაკლებად მათამაშებდნენ, მაგრამ ნელ-ნელა შევეჩვიე, ფიზიკური კონდიციები აღვიდგინე და...

- **ახლა სისტემატურად თამაშობ, თან თანაგუნდლებმა ვიცე-კაპიტნად ავირჩიეს.**

- „ზაკარპატიაში“ ჩემი დიდი კაპიტნის არჩევნებს დაემთხვა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირის ჩარიცხული ვიყავი, ბიჭებმა ვიცე-კაპიტნად ამირჩიეს. სასამოქონო მოულოდნელობა იყო.

- **„ზაკარპატია“ პირველი ლიგის ცხრილის თავშია, ასე რომ, საკლებით შესაძლოა, მალე ისევ უკრაინის უმაღლეს ლიგაში გიხილოთ.**

- მეც ასე მგონია, რომ უმაღლეს ლიგაში გადავალთ. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესიდან შემოთავაზებები უკვე მაქვს, მაინც დარჩენა და გუნდთან ერთად გადასვლა მივობს. ახლა მიტოვება ლაბატი იქნება, ჩემთვის მძიმე მომენტში ამიყვანეს და ფეხბურთში დამაბრუნეს. ამის დაგწყება არ შეიძლება.

- **უკრაინაში მოთამაშე ქართველებიან ვის გამოარჩევთ?**

- თარგამაძეს, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს „ოლექსანდრიაში“, გუნდის ლიდერია და, როგორც ვიცო, მისი გადაბრუნება რამდენიმე წამყვან უკრაინულ კლუბს სურს, უფრო სწორად, პირველი სამეულის გუნდებს.

- **სამეულის გუნდებს?**

- მე ასე ვიცი და რა გასაკვირია, ძალიან კარგად თამაშობს. ნაკრების შეტევის ხაზში, მე პირადად, მისი და მარცვალაძის იმედი მაქვს.

მერაბ მამულაშვილი

● მანჩესტერ სიტის

ბოდიში და მეტი არაფერი



„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ 27 წლის არგენტინელ თავდასხმელ კარლოს ტვეესს ერთხელაც შეუთვალა, რომ მისი კარიერა შეიძლება ძალიან იოლად დაუბრუნდეს ჩვეულებრივ კალაპოტს. ამისათვის, თურმე, ერთადერთი რამ არის საჭირო — ტვეესმა ბოდიში უნდა მოიხადოს. როგორც ხედავთ, ისტენდელთა იტალიელმა თავაკაცმა სექტემბრის ბოლოს დადებული პირობა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ხმას არ ამოიღებდა, ხუთკვირიანი დუმილის შემდეგ დაარღვია. მანჩინიმ თქვა:

„ჩვენ, ყველანი, ვცდებით. მთავარია, ბოდიშის მოხდა შეგვეძლოს. თუ ბოდიშს მოვიხდით, ყველაფერი დამთავრდება. ფეხბურთელობის წლებშიც ასე მიმაჩნდა და ახლაც იმავე აზრისა ვარ. რაც შეეხება კარლოსს, ამის შესახებ მას ჯერ კიდევ 20 დღის წინ ვუთხარი. ბოდიში ერთ-ერთი მოკლე სიტყვათაგანია, მის წარმოთქმას დიდი დრო არ სჭირდება. ტვეესის აგენტს

ნამდვილად არ ვიცნობ, მაგრამ ვფიქრობ, ხალხი, რომელიც ვარს აკრავს, ძალიან მცდარ რჩევებს აძლევს“.

ამის შემდეგ ურუნალიტებმა კიდევ ერთხელ დააზუსტეს, მწვრთნელს ჰკითხეს აქვს თუ არა „ბოკა ხუნიორსში“, „კორინთიანსში“, „ვესტ ჰემსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ ნათამაშებ ფორვარდს „სიტის“ კარიერის გაგრძელების შანსი. მანჩინიმ მიუგო:

„დიახ, ოღონდ ეს მხოლოდ მას მერე მოხდება, რაც ბოდიშს მოიხდის“.

იტალიელი სპეციალისტის ამ სიტყვების შემდეგ ტაბლოიდებმა ფეხბურთელთან ან მის გარემოცვასთან სცადეს დაკავშირება, მაგრამ არგენტინელის ბანაკიდან კომენტარის გაკეთება არავინ ისურვებდა. ცნობილია, რომ მანჩინიმ, როდესაც „სიტის“ ფეხბურთელები ესპანეთში, „ვილიარეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მნიშვნელოვანი შეხვედრის ჩასატარებლად იყვნენ, ტვეესი მანჩესტერს არ გაცილებია.

● ტოტენჰემი

დეზაბილიტირებული სიგის შავაჭრებიან

„ტოტენჰემი სპორტსკლუბი“ იანვარში „მანჩესტერ სიტისთან“ შეგახვრება აქვს განზრახვა. მოგვხსენებთ, საშობაოდ სატრენინგო ბაზარი იხსნება და კლუბებს შორის ფეხბურთელებით ვაჭრობა იწყება. დეზაბილიტირებული სიგის ტოტენჰემის თავდასხმელის, 27 წლის ემანუელ ადგაიორის მუდმივ კონტრაქტზე დაელოდა პარიზი. ამჟამად მათ ადგაიორი „ეტიჰემს“ სთავაზობს „იჯარის წესით“ ჰყავთ ნამოყვანილი, მაგრამ თუ მანჩესტერელები ფასს დააკლბენ, ფორვარდს სიამოვნებით დაიტოვებენ.



შეთანხმდებიან და ტოტენჰემი „უაით ჰარტ ლეინზე“ დარჩება, „სიტი“ თავის ნახევარს, ბუნებრივია, აღარ გააძიებს. ერთი სიტყვით, ჩრდილოლონდონურ კლუბსა და ფეხბურთელს ახალ ვასაშრომლოზე აქვთ მოსალაპარაკებელი, მაგრამ „ტოტენჰემთან“ გამოსული ხმების თანახმად, ოღონდ კი მანჩესტერიდან გამოიქცეს და ადგაიორი ხელფასის შემცირებაზე ყაბულსაა.

ტოტენჰემის ვარსკვლავის გადაბირება სურთ „იუვენტუსსა“ და „პარი სენ ჟერმენსაც“.

ნახავს თუ არა ადგაიორის იანვარში გაყიდვით რამე ხეირს „მანჩესტერ სიტის“? სავარაუდოდ, ნახავს. ჯერ ერთი, მართალია დათქმულზე ნაკლები, მაგრამ გარკვეული თანხა ახლავს შემოუვა და მეორეც, მისი ხელფასის გადახდის გან გათავისუფლდება, რაც „ნაპოლიდან“ ედინსონ კავანისა და მარკო პაშჩინის წყვილის გადაბირებაზე სერიოზულად დაფიქრების საშუალებას მისცემს. ტაბლოიდებმა დაასახელეს თანხაც: თუ ადგაიორის ფასს „სიტი“ 4 მილიონ ფუნტს დააკლბს, „ტოტენჰემთან“ წესით, ყველაფერი უპრობლემოდ უნდა მოგვარდეს.

● რასიზმი

რაგონი დასძინებენ ესპანელები ინგლისელებს?



„ჩელსის“ და ინგლისის ნაკრების 30 წლის კაპიტანი, ჯონ ტერი „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 26 წლის მცველ ანტონ ფერდინანდთან ინციდენტის გამო კიდევ უფრო დიდ შარში აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა. საქმის გამოძიებას ხელი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გარდა ლონდონის პოლიციამაც მოჰკიდა და, როგორც ჩანს, სერიოზულად შეგახსენებთ, რომ ფერდინანდი ტერის ბრალად თამაშის დროს რასობრივ შეურაცხყოფას სდებს.

ბუნებრივია, ისეთ თავმოყვარე ქვეყანას, როგორც ინგლისა, ნაკრების კაპიტნად ვერ ეყოლება ადამიანი, რომელსაც ასეთ რამეს აბრალებენ და თან პოლიციაში აქვს საქმე. შესაბამისად, წინა პლანზე ეროვნული გუნდის კაპიტნის საქმეოდ რთულმა საკითხმაც წამოიწია. თან, ამაზე მსჯელობა კიდევ მოიცდის 12 ნოემბერს ინგლისელებს, „უემბლზე“, ესპანეთის ნაკრებთან რომ არ ჰქონდეთ სათამაშო.

უნდა ითქვას ისიც, რომ ინგლისელებსა და ესპანელების დაპირისპირებას ცალკე „რასისტული“ ისტორია აქვს. ყველაზე სკანდალური ამ გუნდების შიდა წლის წინანდელი დაპირისპირება გახლდათ. მაჭჩი, რომელზეც მოგახსენებთ, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართა. მაშინ ესპანელმა მკურნალებმა ფერადკანიანი ინგლისელ ფეხბურთელებს ტრიბუნებიდან რა არ უძახა. კერძოდ, იმ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ტერის ისტორიის გმირი ანტონ ფერდინანდი და მისი უფროსი ძმა რიო, აგრეთვე შონ რაიტ-ფილიპსი, ეშლი კოული და ჯერმანი ჯენსი. მაშინ უეფამ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაცია 100 ათასი შევიცარიული ფრანკით დააჯარიმა. დიდი ამბავი ატყდა ესპანელთა იმდროინდელი მწვრთნელის, ლუის არაგონესის კომენტარების გამოც. არაგონესმა იმხანად „არსენალის“ ფერადკანიანი ფრანგი ვარსკვლავი, ტერი ანრი შეურაცხყო. დღეს, ინგლისელები მიშობენ, რომ ესპანელებთან ამდგავარი ნინაისტორიის შემდეგ მათ წინააღმდეგ იმ გუნდის გაყვანა, რომლის კაპიტანიც „რასისტული“ ჯონ ტერი იქნება, უხერხულადაა და მტკიცეს მათი დაცინვის საშუალებას მისცემს.

● მანჩესტერ იუნაიტედი ერთგულნი

ოლდ ტრაფორდში კონგრესი



მუშინ მოგახსენებდით, რომ „არსენალის“ ამერიკელმა მენეჯერმა, მილორედერმა სტენ კროფტმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მენეჯერს, თანამემამულეების, გლეხების დასაცავად აიძალა ხმა. შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედის“ გულშემატკივრებს გლეხურები არ უყვართ, კროფტმა კი გამოაცხადა, რომ მათ მანჩესტერული კლუბის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით. კროფტმა, მან თქვა: „მე, რომ ამ კლუბის გულშემატკივარი ვიყო, აღფრთოვანებული ვიქნებოდი“.

„არამკითხე მოამბის“ განცხადებას „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივართა გავრთიანების ერთ-ერთმა ლიდერმა, დანკან დანსლომ დაუყოვნებლივ გასცა პასუხი. მან გააცრცელა განცხადება, სადაც წერია:


„მე კი „არსენალის“ ფანი რომ ვიყო, შევფიქრებოდი, რატომ ვქომაგობ ამ გუნდს. გლეხურების მხარდაჭერაში, თავისთავად, ცუდი არაფერია. გაუგებარი ის არის, რატომ უნდა მოგწონდეს იმ ხალხის მოღვაწეობა, რომელთაც კლუბის ვალეები არანორმალურად გაზარდეს და ყოველ საქციელზე ეტყობათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მედი საერთოდ არ ადარდებთ“.

რიო სხვანაირად უნდა ითავაშოს

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მწვრთნელს, სერ ალექს ფერგუსონს 32 წლის რიო ფერდინანდის გუნდში დატოვება კი უნდა, მაგრამ აფრთხილებს, რომ ამისათვის მას სხვანაირად მოუწევს თამაში. მოგვხსენებთ, ფერდინანდი ბოლო ხანს ცუდ ფორმაშია. ის არც ინგლისის ნაკრების თავაკაცმა, ფაბიო კაპელომ გამოიძახა „ევრო 2012“-ის ბოლო შესარჩევ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. ფერგუსონს მიაჩნია, რომ ყველაფრის მიზეზი სისწრაფის დაკარგვაა. ფერდინანდი „იუნაიტედის“ დაცვის ცენტრში ნემანია ვიდიჩის გვერდით ადგილის დასაკავებლად ვილ ჯონსისა და კრის სმოლინგის კონკურენციას ვეღარ უძლებს. ფერგიმ თქვა:

„რიო მალე (7 ნოემბერს) 33 წლისა გახდება და გასაკვირი არ არის, რომ ხუთი წლის წინანდელით მკვირცხლად ვეღარ დარბის. რაკი ასეა, მან თავისი თამაშის სტილი უნდა შეცვალოს. სისწრაფეს, ბუნებრივია, ვეღარ დაეყრდნობა. ასეთი მომენტები უკლებლივ ყველა ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება. ადრე თუ გვიან ყველას უნდა თამაშის სტილის შეცვლა. ასეთი პერიოდი პირადად ჩემთვისაც ნაცნობია. თუ რიო მოახერხებს და მიხედება, როგორ უნდა ითამაშოს ამჟამად, ძალიან გამიხარდება“.

ფერდინანდმა მონაწილეობა მიიღო ამ ცოტა ხნის წინ გამართულ მანჩესტერულ დერბოში, რომელიც „სიტის“ გამანადგურებელი გამარჯვებით, 6:1 დასრულდა. იმ დღეს დაზარალებული ვე-



ტერანი ფერგუსონმა შემდეგ ტურში, „ევერტონის“ წინააღმდეგ („იუნაიტედმა“ მოიგო 1:0) აღარ ათამაშა, თუმცა მწვრთნელი შორსაა იმ აზრისგან, რომ მისი კარიერა ამით დასრულდეს:

„ბურთის ფლობის თვალსაზრისით რიო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად რჩება. მოედანზე მისი ყოფნა თანავუნდლებისთვის კვლავინ დაუბრუნებლად მნიშვნელოვანია. შეცვლით, როგორც მოგახსენებთ მხოლოდ ის შეიცვალა, რომ მან აქედან ძველებით უნარი დაკარგა, რომლის წყალობითაც ნებისმიერ მონაწილეობაში ბოლო მეტრს უგებდა. არა უშავს, ფერდინანდი თამაშის ახალ ხერხებზე გადგა“.

● პირადი ცხოვრება



ჯერარდს გოგო ეყოლა

„ლივერპულის“ ვეტერანმა ვარსკვლავმა, 31 წლის სტივენ ჯერარდმა და მისმა მეუღლე ალექსმა მესამე ქალიშვილის დაბადების ამბავი გამოაცხადეს. როგორც ჯერარდების ოჯახის წარმომადგენელმა განაცხადა, ბავშვი დღის 4 საათზე მოევიწინა ქვეყანას. მერსისაიდელთა ვარსკვლავი მშობიარობას ესწრებოდა, თუმცა განსაკუთრებული საინტერესო არ ჰქონია, რადგან ყველაფერი კარგად ჩაიარა და დედაც და ახა-შობილიც თავს შესანიშნავად გრძობენ. როგორც მოგახსენებთ, წვილის ორი ქალიშვილი უკვე ჰყავდა. უფროსი გოგონების სახელებია ლილი-ელა და ლექსი. უფროსი შვიდი წლისაა, ხოლო უმცროსი ხუთის. ახალშობილს ლუდრისი დაარქვეს. ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ ცნობილ ადამიანთაგან

ჯერარდები სულაც არ არიან პირველები, რომელთაც თავიანთ შვილს ეს სახელი დაარქვეს. იგივე სახელი თავის შვილს პირველად, 1996 წელს პოპ მომღერალმა მადონამ დაარქვა. კიდევ, ლუდრისი ქალაქია საფრანგეთში, სადაც ყოველდღიურად უამრავი ქრისტიანი ჩადის, რადგან გადმოცემის თანახმად იქ, 1858 წელს, 14 წლის ღარიბ გოგონას ღვთისმშობელი გამოუცხადა. ჯერარდების ოჯახის წარმომადგენელმა განაცხადა: „სტივენი და ალექსი მილოცვებისთვის მადლობას იხდებიან და მასწავლის სიბოძრეს დასაწყისისთვის მათი ოჯახის წევრთა სიმეფიქრით არ დაარღვიონ“.

გვერდი მოამზადა ილია ბაბუნაშვილი

საქართველო

არგენტინა. აპრილი. XIII ტური

ბოკა მესხრა
საბარცხვინო რივერი



ბოკას ახალი გმირი ნიკოლას ბლანდი

მაშინ, როცა სულ უფრო უახლოვდება „ბოკა ხუნიორსი“ პრიმერას 24-ე ტიტულს და ამ დროს, ერთ დროს დიდმა „რივერ პლეიტამ“ რანგით დაბალ დივიზიონში შინ წააგო „აღდგომის“-თან (1:2). „რივერმა“ უბრალოდ სამარცხვინოდ ითამაშა. გუნდს 23 ქულა აქვს, ცხრილში მეორეა.

ტურის მოვლენები

„ბოკა ხუნიორსმა“ კონკურენტებს, თუკი ასეთები მას კიდევ შერჩა, კიდევ 3 ქულა მოუგო - შემდეგი ტურები, „ველესთან“ და „არსინგთან“ ბევრ რამეს გადაწყვეტს, „ბოკას“ შეუძლია ტიტული ფაქტობრივად გაინაღოს... ან დაბარუნოს ინტერიგა ჩემპიონატი. ამ ტურში ჩემპიონობის მაძიებელმა ულაპარაკოდ აჯობა მთავარ კონკურენტს, რაფაელას „ატლეტიკოს“ - 3:1.

„სან ლორენსო“-„ოლ ბოისი“ ჩაიშალა, უფრო ზუსტად არც დაწყებულა. ამის მიზეზი კი, ცოტა არ იყოს, უცნაუ-

რია - წინა დღით ვარჯიშის მერე, ფანებმა „სან ლორენსოს“ ფეხბურთელი, 27 წლის ჯონათან ბოტინელი სცემეს.

ტურის ციფრები

ამ ტურში რამდენიმე სერია განცდა: „ბოკამ“ ხუთი „მშრალი“ ტურის შემდეგ გაუშვა (არადა, ბოლო წუთზე), „ველესმა“ ზედიზედ 4 მოგების შემდეგ წააგო, „ლანუსმა“ 6-მატიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, „კოლონმა“ - 5-მატიანი. ჯერჯერობით მყარად „დაგას“ „ნიუელს ოლდ ბოისი“ - ამ გუნდს უკვე 9 ტურია ვერ მოუგია.

ტურში 21 გოლი გავიდა (საშუალოდ 2,33 თამაშში), აქედან მასპინძლებმა 13 გაიტანეს. ზედიზედ მეორე ტურია, დუბლს ასრულებს „ბოკას“ 21 წლის ფორვარდი ნიკოლას ბლანდი, ორი გოლი გაიტანა პარაგვაელმა სანტიაგო სალსედომაც, მაგრამ „არხენტინოს ხუნიორსის“ 30 წლის შემტევემა ერთი პენალტით გაიტანა.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Lanus vs Boca Juniors (2:1), Boca Juniors vs River Plate (3:1), etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Boca Juniors vs Arsenal (3:1), River Plate vs Boca Juniors (2:2), etc.

ბრაზილია. სერია A. XXXII ტური

პარსკვლავთბიჭუნას პოკერი

ბრაზილიურ სერია A-ს დასრულებამდე 6 ტურით ადრე კვლავ ორხელისუფლებიანობა შეიქნა - „კორინთიანსი“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა, დაეწია „ვასკუ და გამას“. ამ ტურში პოკერი შეასრულა ბრაზილიელთა „ვარსკვლავთბიჭუნა ნეიმარმა“. „სანტოსის“ 19 წლის ფორვარდმა 4 გოლი „ატლეტიკო პარანანსეს“ გაუტანა (აქედან ორი პენალტით). სხვათა შორის, წლის დასაწყისში ნეიმარმა პოკერი შეასრულა ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაშიც, იანვარში მან 4 გოლი პარაგვაის გაუტანა.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Santos vs Atletico Paranaense (4:1), Flamengo vs Botafogo (1:0), etc.



ნეიმარმა გაილაღა

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Flamengo vs Bahia (2:1), Atletico Paranaense vs Flamengo (2:1), etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like MLS, New York Red Bulls vs Columbus Crew (0:2), etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Lanus vs Boca Juniors (2:1), Boca Juniors vs River Plate (3:1), etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Boca Juniors vs Arsenal (3:1), River Plate vs Boca Juniors (2:2), etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes matches like Boca Juniors vs Arsenal (3:1), River Plate vs Boca Juniors (2:2), etc.

ნიკოლოზ ნაწარმაძე

ევრო 2012



პოლონეთი ირჩევს პარშავას

პოლონური პრესის სააგენტო PTP იუწყება, რომ პოლონეთის ნაკრებს ევრო 2012-ის მიმდინარეობისას ქვეყნის დასავლეთით, ქალაქ გრდოზის კო-ველიკოპოლსკში უნდა დაედო ბინა. თუმცა მასმედიისა და თავად პოლონელი ფეხბურთელების ზეწოლის შედეგად ფეხბურთის ფედერაციამ და სამწვრთნელო შტაბმა გადაწყვეტილება შეცვალეს. არჩევანს ისინი სავარაუდოდ ვარშავაზე გააკეთებენ. აი, რა განუცხადა სააგენტოს ამასთან დაკავშირებით ეროვნული გუნდის დირექტორმა კონრად პასნეცკიმ: „მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გრძელდება. საბოლოოდ არაფერი გადაწყვეტილია. ფედერაციის ხელმძღვანელობა საკითხს 2012 წლის 31 იანვრამდე საბოლოოდ დაუჯავს ნერტილს“. ერთ-ერთ ვარიანტად ვარშავის სასტუმრო „შაიტი“ განიხილება, სავარაუდოდ კი ნაკრები ალბათ „ლეგის“ სტადიონს შეაფარებს თავს.

ქალაქ დონეცკის ხელმძღვანელობა უცხოელ გულშემატკივარზე ზრუნვას აქედანვე იწყებს. მათი გადაწყვეტილებით, „დონბას არენისკენ“ მიმავალ მარშრუტებზე უცხო ენებზე სპეციალურ საინფორმაციო დაფებს განათავსებენ, რაც სტუმრებს ქალაქის ღირსშესანიშნავ ობიექტებთან მოხვედრას გაუადვილებს. „ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური უკვე შეუდგა მსგავსი ფირიშიშების დამონტაჟებას, თანაც ისინი პიქტოგრამების (შინაარსის გადმოცემა ნახატის ან თანამიმდევრული ნახატების საშუალებით, რედ.) სახით დაიბეჭდება და მასზე დატანილი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულებები სტადიონის, გულშემატკივართა ზონების, აეროპორტების, სარკინიგზო სადგურებისა და სასტუმროების მიმართულებით,“ - განმარტა ქალაქის საბჭოს წარმომადგენელმა.

აქვე გეტყვით, რომ უფვა და მისი პარტიზონი კომპანიები ევროპის ჩემპიონატის წინ „დონბას არენას“ გადასცემენ ახალ საფეხბურთო კარებს, სათადარიგოთა სკამებს, კუთხურის აღმებსა და სხვა საფეხბურთო ატრიბუტებს. ეს ყველაფერი ევროფორუმის შემდეგ სტადიონის საკუთრებაში დარჩება.

საბჭოები



რომარო ფიფას ინიციატივით სამართლიანად არის აღმზობიებული

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, 47 წლის რომარო ფიფასადმი ნეიტრალურად განწყობილი არასოდეს ყოფილა. ხშირად მოგვისმენია მისი კრიტიკული მოსაზრებები მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის შესახებ. მის არგუმენტებს რიგ შემთხვევაში ადამიანი შეიძლება დაეთანხმოს, შეიძლება - არა, მაგრამ ის, რის გამოც მან ასოციაციას აფუძნა შეუტია, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანია. ფიფაში შეიმუშავეს წესები 2014 წელს ზოგადი ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს კომერციული უფლებების, ბილეთებისა და ალკოჰოლის გაყიდვის შესახებ. ეს უკანასკნელი წესი კონფედერაციათა თაისის გათამაშებასაც ეხება. აქვე გეტყვით, რომ ბრაზილიის კანონმდებლობა კრძალავს სპორტული ტურნირების მიმდინარეობისას არენებზე ალკოჰოლური პროდუქტით ვაჭრობას. ამას გარდა სტუდენტებსა და პენსიონერებს საშუალებას აძლევს ბილეთები ნახევარ ფ-

სად შეიძინონ. თუკი ფიფამ ახალი წესები დაამტკიცა, ის ჩემპიონატის სპონსორებს დაუბრუნებლად მისცემს ალკოჰოლით ვაჭრობის უფლებას სადაც კი გაუზარდება. მეტიც, ფიფამ შეიძლება ტანსაცმლის კონკრეტული ატრიბუტებით სტადიონებზე მოხვედრაც კი აკრძალოს, თუკი სპონსორი კომპანიები მიიჩნევენ, რომ ის მიუღებელია მათთვის წარმატებული მარკეტინგული კამპანიის ჩასატარებლად. ბუნებრივია ფიფა გააკონტროლებს ასევე ბილეთების გაყიდვასაც. რომარო სააგენტო „ასოშიეტივდ პრესს“ გაესაუბრა და განუცხადა, რომ მისი აზრით, აღნიშნული ორგანიზაცია თავის თავს მეტისმეტს უფლებას აძლევს, რაც დაუშვებელი უნდა იყოს ნებისმიერი სალად მოაზროვნე ადამიანისთვის. ლეგენდარული ფეხბურთელი მოუწოდებს ფიფას მაღალჩინოსნებს, რომ ამ წესებს მხარი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭირონ.

ლევან ბიბილაშვილი

ნიკოლოზ ნაწარმაძე

● აქტუალური თემა

ქასანო გაღარკა

თუმცა, რამდენიმე თვე იუჟმაზს

ბოლო პერიოდში, ძალიან ხშირად გვინებს ანტონიო ქასანოზე წერა, რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით გახლავთ განპირობებული. კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ „რომა“-„მილანის“ შემდეგ, ანტონიო მოულოდნელად ცუდად გახდა და სასწრაფოდ კლინიკაში გადაიყვანეს - რამდენიმე დღე უცნობი იყო თუ რა დამართა იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე კამკამა ვარსკვლავს, გუშინ კი დიაგნოზი დაისვა და ბევრ კითხვას გაეცა პასუხი. სწორედ ამიტომ მივუბრუნდით ამ თემას კიდევ ერთხელ და ვეცდებით, საქმის ვითარებაში მაქსიმალურად კარგად გაგვარკვიოთ.


„მილანის“ ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ ქასანოს გულის პრობლემები დაუდგინდა, რის გამოც უახლოეს დღეებში ოპერაციას გაიკეთებს. ვებგვერდზე დეტალურად არის აღწერილი თუ რა სჭირს ანტონიოს და რა სახის ქირურგიული ჩარევას საჭიროებს - იმედია, მოგვიტყვებთ თუ ავადმყოფობის დეტალური დახასიათება-აღწერისგან თავს შევიკავებთ და პირდაპირ იმ საკითხზე გადავალთ, რომელიც ფეხბურთის მოყვარულებისთვის გაცილებით საინტერესო და გასაგებია. რაც მთავარია, ანტონიოს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მოედანზე დაბრუნებასაც აუცილებლად შეძლებს, მაგრამ ჩვენს მიზანია, „მილანის“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე მათრო ტასოტი მოგვითხრობს:

„ექიმებთან დეტალური საუბარი გვექონდა და ყველაფერი გაგვარკვიდა.“

საბედნიეროდ, ქასანო გაცილებით უკეთ არის, თავისუფლად ლაპარაკობს და არც გადაადგილების პრობლემა აქვს. უახლოეს დღეებში ანტონიოს ოპერაციას გაუკეთებენ და სარეაბილიტაციო პერიოდში დაინყებთ. კარგია, რომ გამოჯანმრთელდება, თუმცა როდის დაუბრუნდება მოედანს, ამაზე დღეს საუბარი გავიჭირდება. წინასწარი პროგნოზით, მინიმუმ ოთხ თვეზე ლაპარაკი, მაგრამ ბევრი რამ ოპერაციაზე დამოკიდებულია. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ძალიან კარგად ჩაივლის და ანტონიო მიმდინარე სეზონში კიდევ მოიგებს „მილანის“ ამუნიციას.“

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ქასანოს მთელმა საფეხბურთო იტალიამ დაუჭირა მხარი, სოციალურ ქსელებზე უამრავმა ფეხბურთელმა გაამხნევა „მილანის“ ფორვარდი და მას მალე გამოჯანმრთელება უსურვია. ანალოგიური შინაარსის მესიჯები ანტონიომ იტალიის ფარგლებს გარედანაც მიიღო, რისთვისაც უზომოდ მაძლიერია. დიას, როგორც ტასოტიმ აღნიშნა, ქასანო კლინიკაში უკეთესად გრძნობს თავს და თავისუფლად ლაპარაკობს - ანტონიო „რაი სპორტის“ ჟურნალისტს ტელეფონზე გაესაუბრა და გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მაძლიერა გადაუხადა.

ქასანოს დიაგნოზთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და შემდეგი განაცხადა: „ძალიან გწვრთნის და სიმართლე გითხრათ, გაცილებით უარესის მოლოდინი მქონდა.“



ანტონიო ქასანო

როდესაც გავიგე რასთან გვაქვს საქმე, დავმშვიდდი და თითქოს მხრებიდან დიდი ტვირთი მომხსნა - ექიმებთან საუბრის შემდეგ გავარკვიე, რომ ანტონიო აუცილებლად დაუბრუნდება მოედანს, ეს კი ამ ეტაპზე უმთავრესი სიახლეა. როდის მოხდება ეს? - ჩემი ინფორმაციით, სარეაბილიტაციო კურსი ოთხიდან ექვს თვემდე ნაიღებს, ანუ ცუდ შემთხვევაში, მომავალი სეზონიდან დაგვიბრუნდება.“

ლაშა ნიკლაური

● ბელგია და ფეხბურთი

იღანოფიკაციის პრობლემა

აღნიშნული სტატია ჟურნალისტ ბლერ გრანტს ეკუთვნის. იქიდან გამომდინარე, რომ ნაკლებად პოპულარულ საფეხბურთო ქვეყნებზე ჩვენი გაზეთი მასალებს იშვიათად ვთავაზობთ ხოლმე, გადავწყვიტეთ, რომ მკითხველისთვის ბელგიურ ფეხბურთში მიმდინარე ნახევრად პოლიტიკური მოვლენების ანალიზი საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ბელგიაში პოლიტიკური სიტუაცია ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში საკმაოდ მეტად იყო დაძაბული და მოსალოდნელია, რომ პოლიტიკური ძალების მიერ შეთანხმების მიღწევის შემდეგ სამთავრობო კრიზისი დასრულდება. ალბათ უფრო მეტ უფლებებს მიიღებენ ფრანგულენოვანი ვალონია და ჰოლანდიურად მოლაპარაკე ფლანდრია.

ამგვარი დაყოფა ძალიან აქტუალურია ადგილობრივი ფეხბურთისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკი მიდის ხოლმე ფლამანდიელებისა და ვალონების იდენტურობაზე. თუმცა გულშემატკივართა დიდი უმრავლესობა ალბათ დაადასტურებს, რომ ფეხბურთი მათ უფრო მეტად აერთიანებს, ვიდრე პირიქით. ამის აღწერისთვის კი არ შეიძლება.

აღნიშნულ რეგიონში ნაციონალიზმი, რაც უკვე კლუბების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს, იმდენად სერიოზულადაა გამჭვდარი აზროვნებაში, რამდენადაც სერიოზულად ფიქრობს ხალხი რეგიონის დროშის შეცვლაზე, რომლის მიზანი მარტივია - სამოქალაქო ერთობის შეგრძობის გაღვივება რეგიონის შიგნით. ეს დროშა ხშირად შეიძლება დაინახოთ ხოლმე ფეხბურთის მატჩების დროს ტრიბუნებზე მოფრიალვით. განსაკუთრებ-



ამ ბიჭებს ერთად დგომის პრობლემა არ აქვთ

ბელგიაში ფეხბურთი განსაკუთრებით პოპულარულია ნანტლებში გახდა. ქვეყანაში სწორედ ამ რეგიონში მოხდა კონსტიტუციური ცვლილებები, რისი წყალობითაც ქვეყანაში პოლიტიკური სისტემა შეიცვალა. რეგიონები ერთმანეთისგან კულტურული და ენობრივი ნიშნით გამოიყო. ბერმა ფლამანდიულმა კლუბმა ამის შემდეგ გადაიკეთა ფრანგული დასახელებები ჰოლანდიურად. დღემდე თავად ქვეყანაც ასე იმართება - რეგიონული პარტიების მიერ დაკომპლექტებული კოალიციური მთავრობის მიერ.

ბელგიელი საზოგადოება ზოგადად მომთმენი და შემგუბეგელია, თუმცა შეიძლება იმის თქმაც, რომ მათ ეროვნულობით სიამაყისა და საკუთარი ძალების რწმენა აკლიათ. ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ მათში საერთოდ არ არსებობს ნაციონალური იდენტურობის ნიშნები. რეალურად ამ ორ ხალხს ერთმანეთთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე მათ შეუძლიათ, რომ აღიარონ. იმავეს თქმა შეიძლება საფეხბურთო კლუბებზეც. ბელგიამ რასობრივი, ენობრივი, კლასობრივი და სხვა ნიშნებით დაყოფის დიდი გზა გაიარა და ჩვენს დროში ეს ნიშნები მხოლოდ აქა და იქ თუ შემორჩა. ამის მაგალითია ის, როცა ერთი რეგიონის წარმომადგენელი გავლენიანი ადამიანები მეორის კლუბს გულშემატკივრობენ. თუკი რამე შეიძლება ითქვას ბელგიაში, რომ იდენტურობის პრობლემის წინაშე დგას, ეს ფეხბურთი ნამდვილად არ არის.

აი, რა მოხდა „ვენკისა“ და „სტანდარდის“ შეხვედრაში. პირველი ფლანდრიის გულწი, რომელიც ძირითადად სანარმობითაა სახელგანთქმული. მეორე ვალონიის მხარის უმსხვილესი ქალაქია. უკანასკნელები მთელი თამაშის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ ესმინათ „მტრის“ ბანაკიდან ნამოსული მურაცხევის ნიაღვარი, თანაც მშობლიურ ფრანგულ ენაზე. როგორც მოსალოდნელი იყო ამის შემდეგ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ „ვენკი“ სერიოზულად დააჯარიმა. ვალონია ზოგადად იძულებულია შეეგუოს, რომ მისი ეკონომიკური როლი ქვეყანაში მინიმალურია, მეტიც, დასავლეთ ვალონიაში ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღარიბი რეგიონია. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა არასოდეს რჩებათ მათ

ლევან ბიბილაშვილი

● ინტერი

მილიტომ განხეთქილება უარყო



დიეგო მილიტო


დიდი იტალიურ დერბოში განცდილი მარცხის შემდეგ, განიდა ცნობები, რომ „ინტერის“ ფეხბურთელთა ნაწილი მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის გადაუდგა, ამბობებულებს კი სათავეში დიაგო მილიტო ჩაუდგა. არგენტინელი ფორვარდი

ბოლო დროს მეტწილად სათადარიგოთა სკამზეა, დერბოც სწორედ ამის გამო გამოტოვა და შემდეგ, პრესასთან ირონიული კომენტარები არიგა. გავიდა რამდენიმე დღე და მილიტო სხვაგვარად აღაპარაკდა, ამასთან, ყველანაირი ამბობება და დაუშორილებლობა უარყო:

„გაგრძელებული ცნობები სრული აბსურდია და შესაბამისად, ვერაფერს დავადასტურებ. როგორც ჩანს, ვილაცას, ან ვილაცას ძალიან უნდათ, რომ „ინტერში“ განხეთქილება მოხდეს. მინდა გავანზილო არაკეთილმოსურნეები და აღვნიშნო, რომ გუნდში სრული სიმშვიდეა და წვრთნები ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. რაც შეეხება იტალიურ დერბოში მარცხს, ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ ფორტუნამ მეტოქეს გაუღიმა და სამი ქულა მათ დარჩათ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ყურების ჩამოყრა არ ღირს, რადგან მთელი ჩემპიონატი წინ არის. ბევრი ამბობს, რომ „ინტერის“ პრობლემები სამუელ ეტოოს ნასვლის შემდეგ დაიწყო, რასაც ვერაფრით დავეთანხმები. არ შეიძლება, რომ კრიზისი მხოლოდ ერთი მოთამაშის ნასვლამ გამოიწვიოს, მით უმეტეს, მის მაგივრად ახალი, არანაკლებ მაღალი დონის ფეხბურთელები დავიმეტებ. სამუელ ძალიან ძლიერი ფორვარდია, მაგრამ არც დიეგო ფორლანი ნაკლები და ამაში მალე დავრწმუნდებით. ამასთან, ჩვენ გვყავს მათრო ტასოტი, რომელსაც მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ასე რომ, მინდა დავამშვიდო ჩვენი გულშემატკივრები და დავპირდე მათ, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება.“

ლაშა ნიკლაური

● აზვაბი



ვალენსიამ ბანეგა მოიხსაკლისა

„ვალენსიას“ შუახაზში სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს - „ლევერკუზენთან“ მატჩის პირველ ტაიმში მუხლის მყესები ნაწილობრივ გაინწყვიტა „დამურების“ არგენტინელმა ლიდერმა ევერ ბანეგამ. ექიმთა დასკვნამ „ვალენსიას“ მწვრთნელთა შტაბი ოდნავ ამოასუსთქა, თავიდან უარესს ელოდნენ - 23 წლის ბანეგა „მხოლოდ“ 4-6 კვირას გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ „ვალენსიას“, „რეალიდან“ ნათხოვარი სერხიო კანალესი დაემტკვრა საკმაოდ ხნით - 20 წლის ფეხბურთელი 6 თვეს ვერ ითამაშებს.

მადრიდელს გაუფლო დააკლდა

„არაიო პლაქანოს“ ვეტერანი ფორვარდი რაულ ტამუდო გამოაკლდა. 34 წლის ფეხბურთელმა „ვილიარეალთან“ მატჩში კუნთი გაიწყვიტა. მადრიდელი კლუბის ექიმთა დასკვნით, ტამუდოს ქირურგიული ჩარევა არ ესაჭიროება, მას 3-4 კვირა მოუწევს დასვენება. ტამუდო აუცილებლად დააკლდება შეხვედრებს ბასკურ კლუბებთან, „რეალ სოსიედადთან“ და „ოსასუნასთან“. ამ სეზონში მის ანგარიშზე 3 გოლია.

ნიკოლოზ ნაწარნიძე



როგორ არ შევხვდეთ?

კვირის უხსოვარი ფაქტები: ნიქოზის აპოელ-ი ჩემი პირველი მატჩის მხარედასახელს უჭერს!

„მანკა“ „ჩელსის“ მოპარა ქულები, „მარსელმა“ „არსენალს“, ბატე-მ კი - „მილანს“, მაგრამ სამშაბათის ყველაზე საინტერესო მოვლენა უდავოდ ნიქოზის აპოელ-ის მორიგი წარმატება გახლდათ - კვირის ჩემპიონმა „პორტუ“ პირში წაღებულ მატჩში დატოვა და ცალი ფეხით მერვედღიანობა გვშურს!

E ჯგუფი	
ბენე-ჩელი	1:1
გოლები: 0:1 რამიუსი (26), 1:1 ვოსენი (61) ბურთის ფლობა: 44%-56%; დარტყმა: 15-19; კუთხურები: 5-5	

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: იელე ვოსენი (გენკი)
„ჩელსის“ ძალიან უნდოდა, რომ 4 ტურის შემდეგ ცალი ფეხით მერვედღიანობა ყოფილიყო, მაგრამ „გენკთან“ გასვლით მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლონდონელებს ჯგუფიდან გასვლისკენ გადაწყვეტი ნაბიჯი ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ. ეს ყველაფერი კი იმის დამსახურებაა, რომ ბელგიელებმა მედგარი იბრაძიძის და ჯგუფის ფავორიტთან ქულის მოპოვება ნაღვალად დაიმსახურეს. არადა, მატჩის დასაწყისი „გენკს“ კარგს არაფერს უქადადა, რადგან ლონდონელები თავიდანვე უპირატესობას დაუფლანენ, 26-ე წუთზე კი რამიუსის გოლით დაინანურდნენ. „არსენალის“ გოლის შემდეგაც არაერთი რეალური მომენტი შეექმნათ - სევილის გაზრდა რაულ მერიელესა და დავიდ ლუის შედეგით, ამ უკანასკნელმა სულაც პენალტი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში „ჩელსიმ“ უკლო, რითაც მასპინძლებმა ისარგებლეს და 61-ე წუთზე იელე ვოსენმა „გენკის“ კონტრშტევა გოლით დაავიკრგინა. მატჩის დასასრულს ნაწილი ლონდონელებს ორჯერ შეეძლოთ ბელგიელთათვის სამი ქულის ხელიდან გამოგლევა, მაგრამ ლემპარდმა ოთხი მეტრიდან ვერ გაიტანა (79-ე წუთი), მალუდას დარტყმული კი „გენკის“ მცველებმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს (90).

მოკლედ, ბელგიელებმა ფავორიტთან მიღწეული ფრით გაიხარეს, „ჩელსის“ ვერმოგება კი იმასაც ნიშნავს, რომ მომდევნო ტურში „არსენალის“ ლევერკუზენში უაღრესად მოტივირებული ჩავლენ.

პალენსია-ლემპარდო	
3:1	
გოლები: 1:0 ფონასი (1), 1:1 კისლინი (31), 2:1 სოლდალო (65), 3:1 რამი (75) ბურთის ფლობა: 60%-40%; დარტყმა: 10-5; კუთხური: 2-7 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: რობერტო სოლდალო (ვალენსია)	

„ლევერკუზენისთვის“ მესტალიური თავგადასავალი კომპარულად დაიწყო, შესანიშნავად გაგრძელდა და ცუდად დამთავრდა. მასპინძლები პირველივე წუთზე, „ბაიერის“ ახალგაზრდა მეკარე ბერნდ ლენოს უპატივებელი შეცდომის წყალობით დაინანურდნენ: ლენომ ბურთი პირდაპირ ფონასის მიუგორა, რომელმაც ანგარიში მე-11 წამზე გახსნა. ეს გახლდათ რეიტინგით მეორე ყველაზე უსწრაფესი გოლი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში.

გერმანელები მოკლად 15 წუთში გამოვიდნენ, აზრიანი ფეხბურთი გაჩაღეს და 31-ე წუთზე ნონასნორობა აღადგინეს: კისლინის გოლი აბსოლუტურად ლოგიკური გახლდათ. პირველი ტაიმის დარჩენილ დროშიც „ლევერკუზენი“ დომინირებდა

და გერმანელებს ინიციატივა არც მეორე ტაიმის პირველ 15 წუთში დაუთმოდა და ის ის იყო, „მესტალიაზე“ შეკრებილმა ქომაგებმა ნერვიულობა დაიწყეს, რომ გერმანელებს ჩაეძინათ.

სოლდადომ გოლი ფაქტობრივად არაფრიდან გაიტანა და გერმანიის ვიცე-ჩემპიონი მეორე მოკისთვის განირა, საიდანაც გამოვლდა „ფარმაცევეტებმა“ უკვე ველარ მოახერხეს, რასაც ათ წუთში რამის გოლიც მოჰყვა - გოლი, რომელმაც მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. 3:1 კი ის ანგარიშია, რომელიც ქულების თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობას „ვალენსიას“ მიანიჭებს, რადგან მე-3 ტურში გერმანელებმა მხოლოდ 2:1 მოიგეს.

თ მ ფ ნ ბ ქ						
1. ჩელსი	4	2	2	0	9-2	8
2. ლემპარდო	4	2	0	2	5-6	6
3. პალენსია	4	1	2	1	5-4	5
4. ბენე	4	0	2	2	1-8	2

F ჯგუფი	
არსენალი-მარსელი	0:0
ბურთის ფლობა: 53%-47%; დარტყმა: 8-7; კუთხურები: 1-1 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: აარონ რემსი (არსენალი)	

პრინციპში, დიდად თვალსაყვირად ფეხბურთი ვერც ამ გუნდების პირველ მატჩში ვიხილეთ, მაგრამ იქ ერთი გოლი მაინც გავიდა („არსენალმა“ „ველოდრომზე“ 1:0 მოიგო), ახლა კი კიდევ უფრო მოსაწყენი ფეხბურთი გაჩაღდა და გოლიც ველარ ვნახეთ. არადა, მოგების შემთხვევაში „მეთოფეხები“ მერვედღიანობაში თამაშს პრაქტიკულად ინაღვებდნენ.

თავიდან „მარსელი“ მწარედ იკბინებოდა და ჯერ დედე აიუს, მერე კი ლოიკ რემის შედეგით ანგარიშს გახსნა. ლონდონელები კი აზრზე მოვიანებთ მოვიდნენ, თუმცა მთავარი დამრტყმელი ძალის, რობინ ვან პერსის გარეშე თამაშობდნენ და რა გასაკვირია, რომ წინა ხაზზე ბერი ვერაფერი განწყვეს. ვენგერმა პოლანდიელი თავდამსხმელი მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა და ვან პერსის გამოჩენა „არსენალს“ მაშინვე დაეტყო - ლონდონელებმა საუკეთესო მომენტი სწორედ მას ჰქონდა, როცა 77-ე წუთზე მინდინდასთვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა, მაგრამ სტივმა იყოჩაღა.

პორსუა (დ)-ოლივიპიკოსი	
1:0	
გოლი: 1:0 გროსკროიტი (7) ბურთის ფლობა: 48%-52%; დარტყმა: 8-11; კუთხურები: 2-5 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მორიცც ლაიტენერი (პორსუა დ)	

გერმანიის ჩემპიონმა, როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგაშიც მოიგო, თან გოლიც არ გაუშვა და მესამე ადგილზე აღზევდა - ეს იყო „პორსუას“ პირველი მოგება ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში რვანდღიანი პაუზის შემდეგ. რაკი „არსენალმა“ და „მარსელმა“ ქულები გაიყვეს, ვერ ვიტყვით, რომ დორტმუნდელთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, მაგრამ იმის თქმა კი შეუძლებელია, რომ „პორსუას“ მერვედღიანობა გასვლის თეორიული შანსი შეუწარმუნდა. ამთავითვე ცხადია, რომ თუ ჯგუფიდან გასვლა სურთ, იურ-

გენ კლოპის ბიჭებმა მომდევნო ტურში ლონდონიდან სამი ქულა უნდა წაიღონ, ბოლოს კი „მარსელიც“ უნდა დაამარცხონ. თანაც, შესაძლოა, ესეც არ აღმოჩნდეს საკმარისი და „პორსუას“ ბოლო ტურში „მარსელთან“ ოთხბურთიანი სხვაობით მოგება დასჭირდეს, რადგან „ველოდრომზე“ 0:3 დამარცხდა...

დორტმუნდელთა მხრიდან გამორჩეული იყო ახალგაზრდა მორიცც ლაიტენერი, რომელმაც ნახევარდაცვის ცენტრში კაპიტან სებასტიან კელის მხარდახმარებითა და სვენ ბენდერი ტრავმირებული გახლდათ, კლოპი ილქაი გიუნდოვანს ამჯერადაც არ ენდო, ლაიტენერმა კი შესანიშნავად იასპარეზა და შესაძლოა, სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს.

თ მ ფ ნ ბ ქ						
1. არსენალი	4	2	2	0	4-2	8
2. მარსელი	4	2	1	1	4-1	7
3. პორსუა (დ)	4	1	1	2	3-7	4
4. ოლივიპიკოსი	4	1	0	3	4-5	3

G ჯგუფი	
აპოელ-პორტუ	2:1
გოლები: 1:0 აილტონი (42-პენ), 1:1 ჰალიკი (89-პენ), 2:1 მანდუკა (90) ბურთის ფლობა: 46%-54%; დარტყმა: 5-22; კუთხურები: 3-9 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: გუსტაო მანდუკა (აპოელ)	



ნიქოზის აპოელ-ი ამ სეზონის მთავარი აღმოჩენა: კვირის უხსოვარი ფაქტები მატჩში აილტონმა (წინა პლანზე) დაინანურა - მის ანგარიშზე უკვე სამი გოლია

აი, ამას კი მართლა აღარავინ ელოდა: ნიქოზის აპოელ-მა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების სენსაციური აღმოჩენის სტატუსი მეოთხე ტურშიც შეინარჩუნა და არც მეტი, არც ნაკლები, მერვედღიანობა მიუკაკუნა. უაღრესად საინტერესო და ბოლო წუთებამდე დაძაბული მატჩი კვირის უხსოვარი ფაქტებიდან დასახურებულად მოიგეს და „პორტუ“ ოთხი ქულის დისტანციაზე ჩამოიტოვეს.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას პორტუგალიელები ფლობდნენ, მაგრამ მასპინძელთა კართან რეალური მომენტი ფაქტობრივად არ შექმნილა. აი, აილტონს კი ანგარიშის გახსნა გოლამდეც შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა. 42-ე წუთზე კვირის უხსოვარების კონტრშტევა „პორტუს“ კარში დანიშნული პენალტით დამთავრდა, რომელიც აილტონმა უპრობლემოდ გამოიყენა.

შესვენების შემდეგ პორტუგალიელები ნიქოზელთა საჯარიმოს მიანყდნენ, მაგრამ კვირის უხსოვარები თავს იმდენად ჭკვიანურად იცავდნენ, რომ მათ კართან მომენტები არ შექმნილა. „პორტუს“ ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტად ისევე ჰალიკი აქტიურობდა, ოღონდ ისიც მხოლოდ შორეული დარტყმებით გამოირჩეოდა. 89-ე წუთზე კი „პორტუმა“ მიიღო თერთმეტმეტრიანი, რომელიც ჰალიკმა გარდასახა, მაგრამ ვინც იფიქრა, რომ ამ შეხვედრაში საინტერესო აღარაფერი მოხდებოდა, მწარედ შეცდა: ხარალამბიდისის ბრწყინვალე პასი შორეულ ძელთან მანდუკა დახვდა და გაიტანა გოლი, რომელმაც მიმდინარე სეზონის მორიგი სენსაცია სრულყო და აპოელ-ს ლიდერობა მე-4 ტურის შემდეგაც შეუწარმუნა. პრინციპში, ნიქოზიელთა წარმატებები ბევრს აღარც უკვირს - აპოელი იმდენად ეფექტურად თამაშობს, ფაქტობრივად სას-

წული უნდა მოხდეს, კვირის უხსოვარები ჯგუფიდან რომ ვერ გავიდნენ.

ჰანიტი-შახარაი	
1:0	
გოლი: 1:0 ლომბერტსი (45) ბურთის ფლობა: 59%-41%; დარტყმა: 15-1; კუთხურები: 3-2 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ოლექსანდრ რიბკა (შახარაი)	

ერთი შეხედვით იოლ ჯგუფში, დონეცის „შახტარს“ ფისკოს საფრთხე ემუქრება. უკრაინული გრანდი, რომელმაც შარშან სენსაციურად იასპარეზა, ოთხი ტურის შემდეგ ჯერ კიდევ მოგების გარეშეა და ორი ქულით ბოლო ადგილს ტკეპნის.

მატჩი უაღრესად დაძაბული გამოვიდა, თუმცა „ზენიტის“ უპირატესობა პირველიდან ბოლო წუთამდე იგრძობოდა, რის გამოც შედეგს ალოგიკურს ვერავინ უწოდებს. რუსული კლუბის მცველმა ლომბერტსმა, პეტერბურგელები პირველი ტაიმის მიწურულს დაანანურა. მეორე ნახევარშიც გახსნილი ფეხბურთი ვიხილეთ და თუ რუსებმა სხვაობის გაზრდა ვერ მოახერხეს, ვითარება უკიდურესად ალარ დაძაბულა, რადგან დონეცელებს მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შეექმნათ, რომელიც მე-61 წუთზე ვილიანამ ვერ გამოიყენა.

თ მ ფ ნ ბ ქ						
1. აპოელ	4	2	2	0	6-4	8
2. ჰანიტი	4	2	1	1	7-5	7
3. პორტუ	4	1	1	2	5-7	4
4. შახარაი	4	0	2	2	4-6	2

H ჯგუფი	
ბაზე-მილანი	1:1
გოლები: 0:1 იბრაჰიმოვიჩი (22), 1:1 ბრემანი (55-პენ) ბურთის ფლობა: 47%-53%; დარტყმა: 6-10; კუთხურები: 2-4 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი)	

„მილანმა“ პირველ ტაიმში ისე ითამაშა, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მეორე ნახევარში მოეშვა და საბოლოოდ, მინსკიდან მხოლოდ ერთი ქულით დაბრუნდა, რაც თავისთავად სენსაციაა, მაგრამ არა ხმაურისანი, რადგან ამით „როსონერის“ ჯგუფიდან გასვლის საკითხს პრობლემა არ ექმნება. მეტიც: „მილანი“ მომდევნო ტურში „პარსელონას“ უმასპინძლებს და მოგების შემთხვევაში, პირველ ადგილზე გადავა.

იტალიელები წესით მე-17 წუთზე უნდა დაინანურებულყვნენ, მაგრამ ალბერტო აკვილანის დარტყმის შემდეგ, ბატეს კარს ბურთი მცირე მანძილით ასცდა. სამაგიეროდ, მიზანმა არ უმეტყუნა ზლატან იბრაჰიმოვიჩის, რომელმაც ჯერ მოედნის ცენტრში თავად მოიპოვა ბურთი, მერე კი საჯარიმოში ჩავიდა და რობინოს ჩანოვებას საჭირო ადგილზე დახვდა - 0:1. შესვენებამდე „მილანს“ მეორე გოლის გატანაც შეეძლო - რობინომ ბატეს-ს მეკარე გუტორის მოტყუება კი მოახერხა, მაგრამ მერე ცარიელი კარში ველარ დაუმიზნა და ბურთი ძელს მოარტყა.

მეორე ტაიმში კი „როსონერიმ“ ამკარად უკლო, თუმცა არა იმდენად, რომ ამას „ბატეს“ გოლი მოჰყოლოდა, მაგრამ 55-ე წუთზე ბორისოვოლებმა მსაჯის ძალიან საეჭვო გადაწყვეტილების წყალობით პენალტი მოიპოვეს, რომელიც ბრემანმა გოლად აქცია. კვირის პრინს პოატენგს დარჩენილ დროში ორჯერ შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ ვერ იფარვა და ასე მოიპოვა ბატე-მ „მილანთან“ ისტორიული ქულა.

პლზანი-ბარსელონა	
0:4	
გოლები: 0:1 მესი (24-პენ), 0:2 მესი (45+2), 0:3 ფაბრეგასი (72), 0:4 მესი (90) ბურთის ფლობა: 29%-71%; დარტყმა: 4-21; კუთხურები: 2-3 მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ლიონელ მესი (ბარსელონა)	

მართალია, „ბარსა“ ამჯერად ძალიან სუსტ ჯგუფში მოხვდა („მილანს“ სუსტებში, რა თქმა უნდა, არ გვულისხმობთ), მაგრამ კატალონიურ გრანდს მორიგ მიღწევას მაინც ვერ დაუწყარავთ: პეპ გვარდიოლას ბიჭებმა მერვედღიანობის საგზური ისევ ნაადრევად გაიფორმეს. ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა იმაში, რომ ბარსელონელები პლზენიდან სამ ქულას წაიღებდნენ, მაგრამ 22-ე წუთზე „ვიქტორიას“ ისედაც იოტისოდენა პერსპექტივა საბოლოოდ გაქრა, რადგან მსაჯმა მასპინძლებს ჩიშოვსკი გაუტყვა და თან პენალტი დაინიშნა, რომელიც ლიონელ მესიმ, რა თქმა უნდა, გამოიყენა. ეს გახლდათ არგენტინელის რიგით მე-200 გოლი ოფიციალურ მატჩებში. ისე კი, ლეონე ეს მატჩი მორიგი პეტ-თრიკით დაასრულა, ვიქტორ ვალდესმა კი მიველ რენისას მიერ 1972/73 წლების სეზონში დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა - 824 წუთი გაშვებული ბურთის გარეშე...

თ მ ფ ნ ბ ქ						
1. ბარსელონა	4	3	1	0	13-2	10
2. მილანი	4	2	2	0	7-3	8
3. ბაზე	4	0	2	2	2-9	2
4. პლზანი	4	0	1	3	1-9	1

გაერდი მოამზადა
გოტფრიდ ლანცმა

Lariwin.com
the better way to play

მეტი ვიდრე თამაში

casino online | poker online | bet online

● ჩემპიონთა ლიგა. IV ტური



ბაიერნი-ნაპოლი 3:2. სალვატორე არონიკას და მარიო გომესის დუელი

● A ჯგუფი

ბაიერნი-ნაპოლი 3:2

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ბოატენგი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი - ლუის გუსტავო, შვინშტაიგერი (53. ტიმოშჩუკი) - მიულერი, კროსი, რიბერი (80. ალაბა) - გომესი.

ნაპოლი (3-4-2-1): დე სანკტისი - კამპანი-არო, ფერნანდესი, არონიკა (43. დოსენა) - მავო, ჯემალი (84. პანდევო), ინლერი, ცუნიგა - შმიკი, ლავეცი - კავანი.

გოლები: 1:0 გომესი (17), 2:0 გომესი (23), 3:0 გომესი (42), 3:1 ფერნანდესი (45), 3:2 ფერნანდესი (79).

გაფრთხილება: ბოატენგი - ფერნანდესი, ჯემალი, კავანი.

გაძეგება: ბადშტუბერი (78) - ცუნიგა (70). კუთხური: 6-5; ჯარიმა: 18-16; თამაშგარე: 0-0; კარში დარტყმა: 11-6 (8-3); ბურთის ფლობა: 53%-47%.

მაყურებელი: 66 000

● ვილიარეალი-სიტი 0:3

ვილიარეალი (4-4-1-1): დიეგო ლოპესი - მარიო პერესი, გონსალო როდრიგესი, მუსაჩო, კატალა - დე გუზმანი (76. ანხელი), მარჩენა, ბორსა ვალერო, მუბარაქი (77. ბორდესი) - პერესი (84. ორიოლი) - იოსელუ.

სიტი (4-2-3-1): პარტი - საბალეტა, კომპანი, სავიჩი, კლიში - დე იონგი, ტურე (75. აგუერო) - მილნერი, სილვა (65. ჯონსონი), ნასრი

● დორტმუნდის ბორუსია

გიოგსა სხვანაირად აქიქიქდა

ალიყური ბორუსიას ბოსავს: მარიო ბაიერნი გადსვლას არ გამოიციხავს!

მარიო ბაიერნი გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. მეტიც: დიდი ხანია, რაც 19 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი ვუნდერკინდის სტატუსსაც გასცდა. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ მას უკვე ძალიან ბევრი მიზნობრივი გამოუჩნდა. მაგალითად, ზაფხულში ლონდონის „არსენალი“ მზად იყო, დორტმუნდის „ბორუსიასთვის“ 40 მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ BVB-მ თავისი მარგალიტი არ დათმო.

სექტემბრიდან გიოტცეს თვალმადრიდის „რეალის“, მილანის „ინტერისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმაც დაადგეს. სპეკულაციას მხოლოდ „ბაიერნის“ დანტერესებას ვერ ვუწოდებთ, რადგან რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ხშირად იმეორებენ, ერთხელაც მარიო ჩვენთან გადმოვაო. სწორედ ამიტომ დაუპირისპირდა მათ დორტმუნდის შუფი პანს-იოახიმ ვატცეკი, რომელმაც ამას წინათ

განაცხადა, მიუნხენელები მარიოს ვერასდროს ელირსებინაო. ახლა კი, ბოლოს და ბოლოს თვითონ ფეხბურთელმაც ამოიღო ხმა და „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადებებით დორტმუნდელები გაანანყნა.

„წინასწარ გადაჭრით ვერაფერს იტყვი და მეც ვერაფერს ვერაფერს შევპირდები. რამდენ ხანს დავრჩები დორტმუნდში, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუნდში თავი კარგად უნდა ვიგრძნო. ასევე მინდა, რომ მუდმივად ჩემიონთა ლიგაში ვთამაშობდე. დასამალი არაფერია: „ბაიერნის“ ხელმძღვანელებსგან ქება ძალიან მსიამოვნებს, ეს ჩემთვის დიდი პატივია. არ და ვერ გამოვირცხვებ, რომ ერთხელაც „ბაიერნი“ მართლა გადავიდე, თუმცა იმასაც ვა ვიმეორებ, რომ დღესდღეობით „ბორუსიაში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.“ - უთხრა გიოტცეკმ „შპორტ ბილდს“.

გოტფრიდ ლენცი

კუთხური: 6-4; ჯარიმა: 13-12; თამაშგარე: 9-3; კარში დარტყმა: 5-11 (2-5); ბურთის ფლობა: 56%-44%.
მაყურებელი: 19 000

● ინტერი-ლილი 2:1

ინტერი (4-3-1-2): კასტელაცი - ძანტი, ლუსიო, სამუელი, კიეუ - სტანკოვიჩი, მოტა, კამბიასო - სნეიდერი (67. ალვარესი) - სარატი (79. პაცინი), მილიტო (90. ობი).

ლილი (4-4-2): ლანდრო - დეზუჩი, როზენალი, ჩედოუ, პერია - კოლე (71. პატი), პედრეტი, მავუბა, ჰაზარდი - სოუ (60. ობრანიკი), იელენი (46. დე მელი).

გოლები: 1:0 სამუელი (18), 2:0 მილიტო (65), 2:1 დე მელი (83).

გაფრთხილება: სამუელი - როზენალი, პერია. კუთხური: 3-13; ჯარიმა: 20-10; თამაშგარე: 3-3; კარში დარტყმა: 11-10 (7-4); ბურთის ფლობა: 47%-53%.

მაყურებელი: 56 000

● მილანი-სიონი 4:1

მილანი (4-2-3-1): კასილიასი - დიარა, პეპე, სერბიო რამოსი, კონტრარო (64. ალბოლი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (83. კალეხონი), იოზილი, რონალდო - ბენზემა (71. იგუაინი).

სიონი (4-2-3-1): კასილიასი - დიარა, პეპე, სერბიო რამოსი, კონტრარო (64. ალბოლი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (83. კალეხონი), იოზილი, რონალდო - ბენზემა (71. იგუაინი).

გოლები: 0:1 რონალდო (24), 0:2 რონალდო (69-პენ)

გაფრთხილება: კრისი, კალსტრომი - ხედირა, დიარა, ალბოლი, იგუაინი

კუთხური: 6-8; ჯარიმა: 13-17; თამაშგარე: 3-4; კარში დარტყმა: 13-17 (8-11); ბურთის ფლობა: 47%-53%.

მაყურებელი: 40 000

● ბარსელონა-ვალენსია 4:0

ბარსელონა (4-2-3-1): ვიკარიო - პიკე, მარცა, პუგლიონი, მარცა - დე სუბამანიანი (80. ალბოლი), მესია, სკოტარდო - ნიკოლა, პეპე, სერბიო რამოსი, კონტრარო (64. ალბოლი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (83. კალეხონი), იოზილი, რონალდო - ბენზემა (71. იგუაინი).

ვალენსია (4-2-3-1): კასილიასი - დიარა, პეპე, სერბიო რამოსი, კონტრარო (64. ალბოლი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (83. კალეხონი), იოზილი, რონალდო - ბენზემა (71. იგუაინი).

გოლები: 1:0 ვალენსია (8), 2:0 რუნი (87)

გაფრთხილება: ევანსი - კოსტინი

კუთხური: 6-5; ჯარიმა: 10-13; თამაშგარე: 1-0; კარში დარტყმა: 14-11 (7-5); ბურთის ფლობა: 65%-35%.

მაყურებელი: 75 000

● ბარსელონა-გუადალუპა 1:1

ბარსელონა (4-3-3): არტური - მ. პერირა, ლუიზაო, გარაი, მარტინი (63. ვიტორი) - გაიტანი (81. ნოლიტო), მატჩი, სეზარი - იმარი (73. კარდოსო), როდრიგო, ვიტსელი.

გუადალუპა (4-4-1-1): ზომერი - შტაინშოფერი, აბრაჰამი, დრაგოვიჩი, პარკი - შაჩირი, ჰუგელი, ჩაკა (81. გაბრალი), ფ. ფრაი - ჩიპერვილი (88. კუსუნგა) - ზუა დოგარი (90. პაკი).

გოლები: 1:0 როდრიგო (4), 1:1 ჰუგელი (64)

გაფრთხილება: იმარი, პერირა, ვიტორი - ჰუგელი, პარკი

კუთხური: 9-4; ჯარიმა: 18-6; თამაშგარე: 3-8; კარში დარტყმა: 13-7 (4-1); ბურთის ფლობა: 46%-54%.

მაყურებელი: 65 000

Table with 6 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards, Penalties. Row 1: მანჩესტერ იუნაიტედი 4 2 2 0 8-4 8

● D ჯგუფი

ლიონი-რეალი 0:2

ლიონი (4-2-3-1): ლორისი - რევეიერი, კრისი, ლოგრენი (38. კონე), დაბო - გონალონი, კალსტრომი - ბრიანი, გურკუფი, ედერსონი (84. ბელფოდელი) - გომისი (75. ლაკაზუტი).

რეალი (4-2-3-1): კასილიასი - დიარა, პეპე, სერბიო რამოსი, კონტრარო (64. ალბოლი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (83. კალეხონი), იოზილი, რონალდო - ბენზემა (71. იგუაინი).

გოლები: 0:1 რონალდო (24), 0:2 რონალდო (69-პენ)

გაფრთხილება: კრისი, კალსტრომი - ხედირა, დიარა, ალბოლი, იგუაინი

კუთხური: 6-8; ჯარიმა: 13-17; თამაშგარე: 3-4; კარში დარტყმა: 13-17 (8-11); ბურთის ფლობა: 47%-53%.

მაყურებელი: 40 000

Table with 6 columns: Team, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards, Penalties. Row 1: აიაქსი (4-1-2-3): ვერმეერი - ვან დერ ვილი, ალდერვეირელი, ვერტონგენი, ანიტა - იანსენი - ენო, ერიქსენი (80. ლოდერიო) - სულეიმანი (72. ლუკოკი), დე იონგი, ბოერიგტერი (77. ვებელიო).

● ეიპაი-ფინანსი 4:0

ეიპაი (4-1-2-3): ვერმეერი - ვან დერ ვილი, ალდერვეირელი, ვერტონგენი, ანიტა - იანსენი - ენო, ერიქსენი (80. ლოდერიო) - სულეიმანი (72. ლუკოკი), დე იონგი, ბოერიგტერი (77. ვებელიო).

ფინანსი (4-1-3-2): კელავა - ვრსალიკო, ვიდა, შიმუნჩი, იბანიესი - კალელიო (46. ტომეჩაკი) - ლეკო, კოვანიჩი, ბადელი - რუკავინა (56. ბეკირაი), სამირი (72. სიტუმი).

გოლები: 1:0 ვან დერ ვილი (20), 2:0 სულეიმანი (25), 3:0 დე იონგი (65), 4:0 ლოდერიო (90)

გაფრთხილება: ანიტა, ენო - კალელიო, ვიდა, იბანიესი

კუთხური: 10-4; ჯარიმა: 16-10; თამაშგარე: 2-2; კარში დარტყმა: 13-7 (6-1); ბურთის ფლობა: 59%-41%.

მაყურებელი: 40 000

● თბილისი 1:1

1. რეალი 4 4 0 0 10-0 12

2. აიპაი 4 2 1 1 6-3 7

3. ლიონი 4 1 1 2 2-6 4

4. დინამო (ზ) 4 0 0 4 0-9 0

Advertisement for 'Svetlana' vodka featuring a bottle and a couple in a car. Text includes 'ДРУЖБА, ПРОВЕРЕННАЯ ВРЕМЕНЕМ...' and 'СВЕТЛАЯ МАРКА'.

Advertisement for 'SMOKEP XELT' toothpaste featuring a tube of toothpaste and a smiling woman. Text includes 'სმოკერ ხელტი' and 'განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!'.

Advertisement for Raleigh Talus 4.0 bicycle featuring a bicycle image and Shimano components. Text includes 'RALEIGH Talus 4.0 Aluminium Frame' and 'SHIMANO'.



ქართული სპორტი

ძიუდო, ასოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

აფრიკაში ნილი ყარანს

დღესსამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ კეიპტაუნის „საერთაშორისო საკონტინენტო ცენტრში“ ახალგაზრდა ძიუდოსტა მსოფლიოს პირველობა იწყება...

55 კგ

დღესვე 55 და 60 კილოგრამის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ნილისყართ გაიკვია, რომ 55-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ლერი ქელიძე ამერიკელ ნათან კარნისს შეხვდება...

60 კგ

60-ში პირველ წრეში ორივე ჩემპიონი ისევნებს და სავარაუდო მეტოქეთა შეხვედრების შედეგებს დაელოდება. ევროპაზე უმედილოდ დარჩენილი გუნდის კიდევ ერთი ლიდერის, ვაჟა მარგველაშვილის მეტოქე ფრანგ ვეროპის ვიცე-ჩემპიონ ვინსენტ ლიმარესა და არგენტინელი ხუან ვიტალის ბრძოლაში გაიკვევია...

66. 73 კგ

ხვალ 66-73 კილოგრამების დღეა. 66-ში ერთადერთი მონაწილე გეგავს - ევროპის წლებადგენი ჩემპიონი ლამა შავდათაშვილი, რომელიც ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება, მისი მეტოქე კი შვიძლება ისევე ის ჩეხი იაკუბ იესმინეკი აღმოჩნდეს...

73-ში ევროპის წლებადგენი ბრინჯაოს მედალოსანი მიხეილ ჩოხელი პირველ წრეში ირანელ მოჰამად მალეკ მოჰამედ მეჰარის ხვდება, ფრიდონ გივანი კი მეორე ეტაპზე გასული და კანადელი არტურ მარგელიდონისა და ირანელ საეიდ მოლაეის ორთაბრძოლას დაელოდება...

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან მოფარიკავეს გიორგი გოგელიას მეუღლის, ლალი გომბალიას გარდაცვალების გამო. პანაშვიდი: 3,4.X. გამოსვენება 5.X. 14 საათზე. მისამართი: დიდების მსხვი, რობაქიძის გამზირი, 6-ა - 5 (წითელქუდას) კორპუსი.



როპაზე მეოთხედფინალში სძლია, გივანთან - ისევ ტომერ ზაკეიმი, რომელთანაც ლომელში სახუგეშოში ნააგო, მაგრამ დამამპედივლის ფინალში მისი ჯავრი ჩოხელმა ამოგვკვია.

81. 90 კგ

81 და 90-ის ფალანგები 5 ნომბერს იჭიდავენ. 81-ში კიდევ ერთი დებიუტანტი, ქაბუკეში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული ბექა ლვინაშვილი ჯგუფში რუს ევროპის მოქმედ ჩემპიონ ხასან ხალმურზაევთან მოხვდა, თუმცა მას მეოთხედფინალამდე ვერ შეხვდება...

90-ში მეორე წრიდან ჩაებმება ტურნირში ევროპაზე უმედილოდ დარჩენილი მორიგი ლიდერი გიორგი მერმანიშვილიც, რომელიც ახალი მანსის გამოყენებას ბელგიელი დილან ვან ნუფელის ძლიერ შეეცდება. ევროპიდან ნაცნობი მეტოქე მასაც ჰყავს ჯგუფში - ლიტველი ზილინას ლეკავიჩიუსი, ვისაც მამინე მეორე წრეში ვაზარ-იონიტი მოუგო. თუ ჩვენებური ქვეჯგუფში იმარჯვებს, შესაძლოა, ნახევარფინალში ისევ რუს პუსეინ ხალმურზაევს შეხვდეს, ვისთანაც ევროპული ნახევარფინალი დათმო - ის საპირისპირო ჯგუფში მოხვდა. ამ ნონაში გიორგი ქავთარაძის პირველი მეტოქე ავსტრალიელი ბრანდონ ბაშინია.

100 და აძიოვ

ჩემპიონატს 6 ნომბერს 100 და მიმე წონების ფალანგები დაასრულბენ. 100-ში დებიუტანტი გეგავს, მთავარი იმედი კი ქაბუკეში მსოფლიოს ჩემპიონი გურამ თუშიშვილია, რომელიც, ბედის ირონიით, მაინცდამაინც ევროპის იტალიელ ჩემპიონ დომენიკო დი გუიდასთან დაწყვილება. დავით მერაბიშვილი ეგვიპტელ მოჰამედ აბდელრაჰმანს დაეჭიდება. +100-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონი ლევან მატიაშვილი მეორე წრეში და ეგვიპტელ მაისარა ელნაგარისა და ყაზახი აიტურ აბდულოვის შეხვედრის დამთავრებას დაელოდება. უმანგი კოკაურს მეტოქედ ფრანგი ნაბილ ზალაგი ერგო, მასთან წარმატების შემთხვევაში კი იაპონელ ტაკეში ოჯიტანის შეხვდება.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. ნაპრაზი

ფირსხელიანი ღაბრუნას

საქართველოს ძიუდოსტ ვაჟთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მორიგი საკადრო ცვლილებებია - იქ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ზორის ფირცხელიანიც იმუშავეს, რომელმაც პირველი ვარჯიში ორიოდ დღის წინ ჩაატარა.

ფირცხელიანი ძიუდოს შოთა ხაბარელის თანაგუნდლობის გამო ჩამოაშორეს - 2009 წელს, მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გაათავისუფლეს იმის მიუხედავად, რომ 6 წლის განმავლობაში ევროპისა და მსოფლიოს პირველობებიდან ოქროს მედლის გარეშე არ დაბრუნებულა. მალევე რიგითი მწვრთნელის ხელფასიც მოუხსნეს და ლამის ორი წელიწადი უფუნქციოდ იყო. მხოლოდ დარბაზში მიდიოდა და თავის შეგირდებს, ქაბუკეში ევროპის ჩემპიონს, ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორ ზებედა რეხიაშვილს (73) თუ სხვებს რჩევადარიგებებით ეხმარებოდა. გარდა იმისა, რომ მას ახალგაზრდულში კარგი შედეგები ჰქონდა, ის ნამდვილი მოძღვარი და მისაბაძი მაგალითი იყო მოზარდებისთვის - გამუდმებით უკან დასდევდა მათ, ვარჯიშების შემდეგაც აკონტროლებდა, სად იყვნენ, რას აკეთებდნენ, ვისთან მეგობრობდნენ. ყველანაირად ცდილობდა, ისინი მოწყვიტა ქუჩისთვის და არა მხოლოდ კარგ სპორტსმენებად, უპირველესად, კარგ მოქალაქეებად აღზარდა. შეკრება მისთვის ათმავე თავსატეხი იყო, რადგან იქ სპორტსმენები უშუალოდ მას ჰყავდა ჩაბარებული, ის იყო პასუხისმგებელი მათ ყოველ ნაბიჯზე და ლამის არ ეძინა, ღამეც კი აკონტროლებდა მათ. ფირცხელიანი ღრმად მორწმუნე კაცია, ოღონდ - ცხოვრების წესით და არა მხოლოდ რიტუალების დაცვით. შეგირდებსაც იმავე ღრმებულეებით ცხოვრების კენ მოუწოდებდა ანუ გარდატეხის, ჯერ კიდევ სულიერი ფორმირების ასაკში მყოფი ახალგაზრდებისთვის კარგი მაგალითი იყო. ამიტომ მიგვაჩნდა განაშაულებდნენ ძიუდოდან მისი გარიგვა, რაც, საბედნიეროდ, ძიუდოს ფედერაციამ გამოსასროდა, რისთვისაც ნამდვილად ეკუთვნის მადლობა. მოგახსენებათ, ცოტა ხნის წინათ ძიუდოსტ ვაჟთა ნაკრებში ქაბუკეთა მთავარი დამრიგებელი გიორგი ვაზაგაშვილიც გადაყვანეს, ასეთი მწვრთნელების შემატება კი გვაძლევს იმის იმედს, რომ საოლიმპიადოდ არ გაიმორებენ მსოფლიოს პირველობის წინ დაშვებულ მეცდომებს და ლონდონში შედევთ უკეთესი გვექნება. თუმცა საამისოდ მხოლოდ მწვრთნელთა დამატება არ კმარა - საინტერესოა, როგორ განაწილება ფუნქციები მწვრთნელთა შორის.

ამიერდან ძიუდოსტა სამწვრთნელო შტაბი ასეთი შემადგენლობისა: მთავარი მწვრთნელი ავსტრიელი პეტერ ზაიზენბახერი, მწვრთნელები: ფირცხელიანი, ვაზაგაშვილი, ლევან ციგრაშვილი, ივერი ჯიჭიასული. როგორც ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ალექსიძემ გვითხრა, გადწყვეტილებათა მიმღები კვლავაც ზაიზენბახერია, დანარჩენებიდან მკვეთრად განსაზღვრული მხოლოდ ციგრაშვილის ფუნქციაა, რომელიც მას ფიზიომზადებაში დაეხმარება, სხვები კი ჩვეულებრივ იმუშავენ გუნდთან. ცხადია, დავინტერესდით, ქართულ ჭიდაობაზე იქნება თუ არა ვიმე მამაგრებული. როგორც ალექსიძემ გვითხრა, პერსონალურად - არავინ, კონკრეტულად კი ყოველ ვარჯიშზე გარკვეული დროა გამოყოფილი, რომელიც ქართულ ჭიდაობას დაეთმობა, ხოლო თუ რომელიმე სპორტსმენს მწვრთნელთა დახმარება დასჭირდება, შეუძლია, ნებისმიერს მიმართოს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფიქრობთ, ავალებდა, მაინც ვინმეს სპეციალურად დაელოდა ეს საქმე და ასეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საერთო ვარჯიშში არ ჩაეკარგულიყო. პერსონალურ პირს ვაცოდებით მეტი პასუხისმგებლობა ექნებოდა.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა ერთმანეთს



11-13 ნოემბერს მოსკოვში, სპორტკომპლექს „დრუჟბაში“ გაიმართება საერთაშორისო ტურნირი „ევროპის ერთა თასი - მოსკოვის ვარსკვლავები“ თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც წლებულს პირველად ტარდება. თავისუფალ ჭიდაობაში „მოსკოვის ვარსკვლავები“ ადრეც იმართებოდა, მაგრამ ამჯერად „ევროპის ერთა თასის“ სტატუსიც მიენიჭა. თან მის პროგრამაში ბერძნულ-რომაული ჭიდაობაც ჩართეს, რადგან საერთაშორისო ფედერაციამ მიმდინარე წელიწადი „რუსული კლასიკური ჭიდაობის“ წლად გამოაცხადა, საკუთრივ რუსეთში კი ბოლო წლებში ბერძნულ-რომაული ჭიდაობა პოპულარული შეჯიბრებების ჩატარებით შედარებით ჩამორჩა „თავისუფალს“.

სხეცვლილ ტურნირში მონაწილეთა შორის ევროპული რეიტინგით ხდება - 6-6 საუკეთესო გუნდი მიიწვიეს. ამ საშუალებას მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდებდა ნაკრები მოხვდა, რომელსაც მოსკოვში მეტოქეობა რუსეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბულგარეთის და თურქეთის გუნდებთან მოუწევდა. ბერძნულ-რომაულ სტილში რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ბულგარეთის და თურქეთის ნაკრებები მინიშნულად.

ტურნირი გუნდური პრინციპით ტარდება, საპრიზო ფონდი კი 100 ათასი დოლარია. ასპარეზობას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი გასწავს.

რევი ნაკრები მოსკოვში სერიოზული საკადრო ცვლილებების გარეშე მიდის, თუმცა ახალგაზრდების უმეტესობა ზედა ნონაში იჭიდავენ. გიორგი ელიშვილი (55), ვლადიმერ ხინჩევაშვილი (60), მალხაზ ზარქუა (66), გელა სალირაშვილი (74), დავით ხუციშვილი (84), დავით მარსაგაშვილი (96), დავით მოძინაშვილი (120) - ამ შემადგენლობას აგზავნის მოსკოვში ჩემპიონ გუნდის თავაკაცი ზაზა თურმანიძე. მწვრთნელს ერთი სათადარიგო მონაწილის წყაპაც შეეძლო, მაგრამ ეს კვლავ გამოუყენებელი დატოვა.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი გუნდიდან თავის ნონაში მხოლოდ ედიმერაშვილი, სალირაშვილი და მოძინაშვილი იჭიდავენ, დანარჩენებს კი მწვრთნელები ამჯერად ნონას არ აკლენ ბინებენ. სავარაუდოდ, მათ ამის გაკეთება ოციოდ დღეში ისევ მოუწევთ, როცა საქართველოს პირველობა გაიმართება, დროის ასე მოკლე მონაკვეთში ორჯერ

როგორ

მხოლოდ შაფათაჟა დარჩა

მაკანასაშვილა (170) მალევე დაასრულა ასპარეზობა გერმანულ იზმინინგში, სადაც საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარზე მეტია. პირველ წრეში მაკა რუშინელ მადალინა გოინას (173) შეხვდა, მაგრამ მატჩის დასრულებულ ველარ შეძლო - 7:6 (9), 2:6, 3:5. წყვილთა თანრიგში ჩვენებური არ თამაშობდა. სტამბოლის ტურნირში (25 ათასი დოლარი) სოფიო ქვაკაბაძე (467) ბულგარელ იზაბელა შინიკოვასთან წააგო - 1:6, 1:6. სოფიო შაფათაჟა (277) კი ძალზე იოლად მოუგო მე-4 ნომრად განთესილ სერბ ალექსანდრა კრუნისს (221) - 6:3, 6:0. მეოთხედფინალში სოფიო მე-5 ნომრად განთესილ რუს მარტა სიროკოვას (222) ეთანაშუბა. ეკა გორგოძე (407) ანთალიაშია, სადაც 10-ათასიან ტურნირში მე-2 ნომრად განთესეს. ეკამ პირველ წრეში გერმანელ ლენა-მარი ჰოფმანს აჯობა - 6:4, 6:3. ახლა მისი მეტოქე სერბი ნატალია კოსტინია.


ანთალიაში გაუთა ტურნირიც (10 ათასი დოლარი) მიმდინარეობს, სადაც ორი ჩვენებური ცდლობდა ძირითად ბადეში გაღწევს. დავით ხუბუამ პირველივე წრეში ნაავო ავსტრიელ რუდოლფ კურცთან - 3:6, 1:6. ალექსანდრე მეტრეველმა კი ორი წრე გაიარა, ჯერ ფრანგ ვალენტინ

მოსკოვში ევროპის თასზე

დაკლება კი ყოველად გაუმართლებელი იქნებოდა. მოსკოვში არ იჭიდავენ გიორგი გოგელიძე (96). სავარაუდოდ, ის შეგნებულად არ მიჰყავთ „მტრის ბანაკში“, სადაც წარმოდგენილი ფსიქოლოგიური უნაღლის ქვეშ მოექცეოდა. მით უფრო, რომ წინასწარი მონაცემებით (რუსებს ჯერ საბოლოო შემადგენლობა არ დაუსახელებიათ), იქ მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი ჰაჯიმურატ გაცალოვიც იჭიდავენ და ოლიმპიური ჩემპიონი შირვანი მურადოვიც, თუმცა ამ უკანასკნელზე გადაჭრით ჯერ კიდევ ვერ ამბობენ ვერაფერს. მოგახსენებათ, მან ცოტა ხნის წინ ხასაგიურტში საკონტინენტთაშორისო თასზე ტრავმა მიიღო და ნახევარფინალში გოგელიძეს ვერ შეხვდა. ჯერჯერობით ინტერნეტში არ ვრცელდება ზუსტი ცნობები მისი ტრავმის შესახებ, თუ როდის დაუბრუნდება აქტიურ სპორტს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტურნირზე რუსეთის „თავისუფალთა“ გუნდს პირველად გაუძივდება ცხარე პოლიტიკური ბატალიების და ფაქტობრივ მინაბატობის შემდეგ ცხინვლიდან მოსკოვში დაბრუნებული მთავარი მწვრთნელი ჯამბულათ თედევი. ისიც და მისი ქართველი „ბერძენ-რომაელი“ კოლეგა გოგი კოლუაშვილი აცხადებენ, რომ მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძობენ, მთავარ კონკურენტად კი ორივემ აზერბაიჯანი დაასახელა. შემადგენილები ოფიციალურად ჯერ არც აზერბაიჯანელებს დაუსახელებიათ, თუმცა მათ „თავისუფალთა“ გუნდზე მაინც განდა ცნობები: ევროპის წლებადგენი პრიზიორი მამუდ მაგლომეი (55), ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ტურულ ასკეროვი (60), ემინ აზიზოვი (66), ალექსანდრ გოსტიევი (74), ევროპის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი ნაურუბ ტეგეზოვი (84), გაჯი ალიჯანოვი (96), ტუბდან გადაბრუნებული ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონი ალექსის როდრიგესი და რუსეთიდან გადაყვანილი სოსლან ძებისოვი (ორივე - 120) - სავარაუდოდ, ესენი იჭიდავენ მოსკოვში. რაც შეეხებათ აზერბაიჯანელ „ბერძენ-რომაელებს“, ისინი უმწვრთნელოდ დარჩნენ - მსოფლიოს პირველობის შემდეგ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი ფარიდ მანსუროვი თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ახლა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახდა და ახალგაზრდებთან მუშაობა დაევალა, მისი შემცვლელი კი ჯერ არ დაუსახელებიათ. მისმა გუნდმა სტამბოლში, მსოფლიოზე მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვა - ოქროსი (ჩემპიონის შემადგენელი ბაირამოვი გახდა 55-ში), მაგრამ იქაურთა გაზრდილი მადამ ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილა, თუმცა ფედერაციის ხელმძღვანელობას მანსუროვთან ადრეც ჰქონდა პრეტენზიები გუნდში მოშლილი დისციპლინის და სხვა მიზეზთა გამო.

ირაკლი თავაძე



ნურისას მოუგო - 6:1, 6:1, შემდეგ - გერმანელ დანიელ მასურს - 6:2, 2:6, 6:3. სამწუხაროდ, ფინალურ წრეში ქართველმა მხოლოდ მაქსიმ ლუბარენკოსთან დათმო შეხვედრა - 1:6, 3:6.

ნიკოლოზ ნაჰარაძე

ქართული სპორტი

ქართულ-აფხაზური სპორტი

სრუბრიკა «ქართული ქრონიკე-ბის» წინა გამოშვებაში გავხსენით და ქართულ-აფხაზური სპორტის აფხაზეთის ის ათლეტები გავაცანით, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზეს. თემას განვავრდობთ სპორტის ცალკეულ სახეობებში აფხაზეთის იმ სპორტსმენთა ჩამოთვლით, ვინც წვლილი შეიტანა ქართულ-აფხაზური სპორტის წინსვლაში. ცხადია, რუბრიკის ფორმატში თითოეულის დამსახურებაზე დანერვილებით ვერ შევჩერდებით. ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ მათ ნოდებზე, რაც თავისთავად მიანიშნებს დამსახურებაზე.

1967 წ. ვალენტინა ანტონოვა, ვიქტორ ანტონოვი (ორივე - სოხუმი).
1968 წ. ანაიდა პოლოსიანი, ვლადიმერ ბასიუკი, კონსტანტინ იადრიშნიკოვი, ტატიანა დუდარევა (ოთხივე - სოხუმი).
1970 წ. სერგო ემიფანოვი, ივარდი ჩარკოზიანი, ლუდმილა სალავიოვა, შუმანა მელიქოვა (ოთხივე - სოხუმი).
1972 წ. ზაირა კვიციანი (სოხუმი).
1976 წ. ცილა აბლოტია, მარინა ტყეშელაშვილი (ორივე - სოხუმი).
1978 წ. სატენიკ მარკარიანი, აიდა დელენიანი, ლუდმილა მარკარიანი, მანანა კაჭარავა, ეთერ ევზიბია (ხუთივე - სოხუმი).

აკრობატიკაში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ნოდება მიენიჭა სოხუმელ **გ. შონიას** (1951 წ.).

ამოაზადა **თორნიკე ბაჩალიაძე** *ბაბრძელეაძე* იქნება

პაროზაპია
 სპორტის ოსტატები ვახდენენ (წლების მიხედვით):
1958 წ. გენადი ქირია (სოხუმი).
1963 წ. ვალერი ვაფანოვი, მიხეილ ვაენკო, შოთა ლებანიძე (სამივე - სოხუმი).



სპორტს ეკრანზე ვიმედოვნებთ, ჩვენი წამოწყება კიდევ უფრო გაუღვივებს მკითხველს (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) სურვილს, ნახოს ესა თუ ის სპორტული ფილმი. მითუმეტეს, კომპიუტერის მეშვეობით დღეს ბევრი მათგანის ნახვა სრულად არ ნარმობადაც. პროექტის განხორციელებაში კონსულტაციას გვიწვევს საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაცია.

რუბრიკას ვინწყებთ ფილმით „პირველი მერცხალი“, რომელიც 1975 წელს გამოვიდა ეკრანებზე და ქართული მხატვრული კინემატოგრაფის კლასიკად მიჩნეულია. ალბათ ძნელია მოძებნო ქართველი, ვისაც ეს ფილმი არ უნახავს. მიუხედავად იმისა, რომ კინოსურათი კომედიური ფანრიისაა, ქართულმა კრიტიკამ იგი შეაფასა როგორც „ერის ისტორიული ცხოვრებისა და თავგადასავლის ტრაგიკული ალგორითი“. ფილმის საიტიტო ბარათად **დოდო აბაშიძისა და ზორის პაიჭაძის** სახელები ცეცხვია, თუმცა

პირველი მერცხალი

დღეიდან „ლელო“ ხსნის ახალ რუბრიკას „სპორტი და ეკრანი“, რომელსაც გაუძღვება **ალექსანდრე ჯინორიძე**. სპორტი და საეკრანო ხელოვნება (კინო, ტელევიზია, დღეს კი ინტერნეტიც),



ადამიანის მოღვაწეობის ის სფეროა, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვან აუდიტორიას იზიდავს. მკვლევარების დასკვნების თანახმად, ყოველ წამს სპორტულ გადაცემებსა და ფილმებს მსოფლიოში 500 მილიონამდე ადამიანი უყურებს!

ჩვენს რუბრიკაში უპირატესად ადგილი დაეთმება სპორტულ თემატიკაზე შექმნილ ქართულ ფილმებს. ვეცდებით, შევახსენოთ კინოკლასიკა და გააცნოთ ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებები. მხატვრული კინო, დოკუმენტური, ანიმაცია - არ არის ჟანრი, რომლის მეშვეობითაც კინემატოგრაფისტები არ ასახავენ

მასში მაყურებლისთვის სხვა საყვარელი ოსტატებიც მონაწილეობენ. საგულისხმოა ის, რომ ფილმის დამდგმელი რეჟისორი ქალბატონი ვახლავთ - **ნანა მჭედლიძე** და იმ პრიზებს, რომელიც მან მიიღო („ოქროს ჯიხვი“ - გრან-პრი თეირანში, პრიზები ლისაბონში, სიდნეისა და მინსკში) ბევრი მამაკაცი ხელოვანი ინატრებდა.

„პირველი მერცხალი“ ქართველების გაუტყელებლას წარმოაჩენს და ეს ყველაზე კარგად ფეხბურთის პიონერებმა დაგვიმტკიცეს ეკრანიდან.

ალექსანდრე ჯინორიძე

ქალბატონი

საათები დღეს ჩაირთვება



ბერძნულ საკურორტო ქალაქ პორტო-კარასში დღეს დაიწყო მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა 28 და ვაჟთა 38 ნაკრები იასპარეზებს. შეჯიბრება შეეცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება. თითოეულ ტურში გუნდებიდან 4-4 მოჭადრაკე ითამაშებს. 40 სვლისთვის მოასპარეზებებს ეძლევათ 90 წუთი, მერე პარტიის ბოლომდე - ნახევარი საათი, ყო-

ველ სვლაზე 30 წამის დამატებით. მოგებისთვის ინერება 2, ფრისთვის - 1, ნაგებისთვის 0 ქულა.

შეგახსენებთ, რომ მსგავს ტურნირებში საქართველოს ქალთა ნაკრებს 1997 წელს ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, სამგზის ვერცხლის პრიზიორია, ჩვენმა ვაჟებმა კი 2003 წელს მესამე ადგილი დაიკავეს.

ჩემპიონატში ქალთა გუნდებს შორის რეიტინგფაქტორიტა რუსეთის ნაკრები (საშუალო რეიტინგი 2509), რომელმაც ზედხედ ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. 2009 წელს ჩრდილოეთმა მეზობლებმა ჩვენს მანდილისნებთან კი ნაგავს, მაგრამ უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით გავიდნენ პირველ ადგილზე. ამჟამად რუსთა სპორტულ ღირსებას დაიცავენ ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა (2526) და მისი და, კონტინენტის პირველობების მრავალგზის პრიზიორი ნადეჟდა კოსინცევა (2549), მსოფლიოს და ევროპის ექსტრემიონი ალექსანდრა კოსტენიუკი

ოქროს წინმოვიცხვნი
ქროულ სპორტულ ქრონიკაში
 გიგლირიძე თარიღი

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

იური ოსიპოვი

დაიბადა 16.03.1937, სტალინგრადი. ფარიკაობა, რაპირა. მსოფლიოს ჩემპიონი (1962) და მესამე პრიზიორი გუნდურ პირველობაში (1957), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში (1957), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1959), მეორე (1961) და მესამე პრიზიორი გუნდურ პირველობაში (1963), სსრკ სამგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1957, 60, 62), ორგზის მეორე (1957, 62) ორივე პირადში და ორგზის მესამე პრიზიორი (1960) გუნდურში, 63 პირადში, სსრკ თაისი მფლობელი (1960), XVI ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1956, მელბურნი. პირადში X, გუნდურში V ადგილი), 1958 წელს სსრკ თაისი II ადგილი; 1962 ევროპის თაისი - „ჯოვანიტის თაისი“ II ადგილი.



სათხვეუნი აკადემიური ნიჭოსნობა

ქალბატონი ნიჭოსნობა სანიჭოსნო სპორტის ყველაზე ცნობილი და განვითარებული სახეობაა. ევროპის ჩემპიონატი იმართება 1893 წლიდან, მსოფლიოს - 1962-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1900-იდან - კაცები, 1976-იდან - ქალები. უძველესი სამარხები და კულტურის ძეგლები, არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნივთები მონიშნავენ, რომ გვიგობლები, ბერძენები, რომაელები, გერმანელები და სხვა ხალხები ჯერ კიდევ იალქნის გამოგონებამდე ფართოდ იყენებდნენ ხოფს ანუ ნიჭებს.

საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1892 წლის 25 ივნისს ტურინში (იტალია). საქართველოში აკადემიური ნიჭოსნობა გავრცელდა 1950-იან წლებში, როცა ლიტვიდან ნავები ჩამოიტანეს, თბილისსა და მცხეთაში პირველი სანიჭოსნო ბაზები მოაწყვეს და სასწავლო ჯგუფები გახსნეს. მოგვიანებით ამ სახეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ფოთში, ქუთაისში, რუსთავსა და აფხაზეთში. სსრ კავშირის ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენები პირველად 1958 წელს გამოვიდნენ და ოთხი ეკიპაჟი საუკეთესოთა ათეულში მოხვდა. იქიდან მოყოლებული საქართველოს სპორტსმენებს არაერთხელ წარმატებით უსაპარეზიათ საკავშირო თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.

ცნობილია, რომ ნავებით პირველი რბოლა ვენეციაში მოეწყო 1300 წელს, სპორტული ნიჭოსნობის სამშობლოდ კი ინგლისი ითვლება. სწორედ იქ შეიქმნა პირველი აკადემიური ნავე და 1715 წლიდან რეგულარულად ტარდებოდა შეჯიბრებები ერთეულთა კლასში. 1811 წელს იტონში მოეწყო რვაადგილიანების პირველი რეგატა, 1829 წლის 10 ივნისიდან კი სათავეს იღებს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ნიჭოსნობა პოპულარული შეჯიბრება ტემზაზე (დისტანცია - 6,8 კმ), რომელიც ყოველწლიურად, ზაფხულის არდადეგებზე ტარდება და დიდძალ მაყურებელს იზიდავს.

საქართველოს ნიჭოსნობისა და კანოეს ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 27 ივლისს. პრეზიდენტი **ბეჟან ხურციძე** (1996 წლიდან). აკადემიური ნიჭოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში განვერდა 1991 წელს, 1996 წლის 25 ოქტომბრიდან - ბაიდარისა და კანოეს საერთაშორისო ფედერაციაში გაერთიანდა.



(2439), ასევე, ნატალია პოგონინა (2451) და ვალენტინა გუნინა (2514). რეიტინგით მეორეა უკრაინა (2477), რომლის შემადგენლობაში ითამაშებენ ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლახნო (2549), ქალბეში კონტინენტის პირველობების პირველი გამარჯვებული (ამ ტურნირს 2000 წელს ბათუმმა უმასპინძლა), ნატალია ფუკოვა (2427), ინა გაპონენკო (2435), მარია მუზიჩუკი (2460) და ანა უშენინა (2463). მესამე საფეხური 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონ საქართველოს ნაკრებს (2463) უკავია: **ნანა ძაგნიძე** (2516), **ლელა ჯავახიშვილი** (2475), **ნინო ხურციძე** (2440), **ნაზი პაიციძე** (2422), **სალომე მელია** (2392), კაპიტანია **ნინო გურიელი**, მწვრთნელი - **ზურაბ სტურუა** და **თამაზ გელაშვილი**. ვაჟებში რეიტინგით პირველია რუსეთი (2758). გუნდის ყველა წევრი 2700-იანთა კლუბის წევრია: პიოტრ სვიდლერი (2755), სერგეი კარაიკინი (2763), ალექსანდრ გრიშჩუკი (2752), ალექსანდრ მოროზევი (2762) და იან ნეკომინაში

(2730). მეორე ადგილზე მოყო უკრაინელებსაც (2729) ძლიერი ნაკრები ჰყავთ: ვასილი ივანჩუკი (2775), მსოფლიოს ექსტრემიონი რუსლან პონომაროვი (2723), პაველ ელიანოვი (2691), ზახარ ეფიმიენკო (2702) და ალექსანდრ მოსიენკო (2715). სხვა გუნდებშიც მრავლად არიან პლანეტის უძლიერესი დიდოსტატები. მაგალითად, სომხებს მსოფლიოს რეიტინგში მე-3 ადგილზე მოყოფ ლევონ არონიანი (2802) მენინავობს, ბულგარელებს - ვესელინ ტოპალივი (2768), მოქმედ ჩემპიონებს, რეიტინგით მესამეადგილოსან აზერბაიჯანელებს - თეიმურ რაჯაბოვი (2781). ჩემპიონატში 2700-ზე მეტი რეიტინგით 30 დიდოსტატი იასპარეზებს. საქართველოს ვაჟთა ნაკრები რეიტინგით (2620) მეთხუთმეტეა. მის ღირსებას დაცავენ **ბაადურ ჯობაჯა** (2678), **მიხეილ მჭედლოშვილი** (2636), **ლევან ღანცულაია** (2588), **მერაბ გაგუნაშვილი** (2577) და **დავით ზარქუა** (2443); კაპიტანია ვაჟი **გიორგი**, მწვრთნელი - **ზვიანა სუბატიშვილი**.

ვაჟა დანელია

3-9 ნოემბერი

01. 1969 წ. დაიბადა მიხეილ ჯიშკარიანი - ფეხბურთი
02. 1902 წ. დაიბადა ივანე (ნიკო) მარი - ალბინიზმი. გარდაიცვალა 1990 წელს.
02. 1944 წ. დაიბადა ალექსანდრე მეთრეველი - ჩოგბურთი.
04. 1904 წ. დაიბადა ანდრო ჟორდანი - ფეხბურთი.
04. 1960 წ. ქართველი ფიგურისტი სარბიელზე პირველად გამოვიდნენ 1960 წლის 4 ნოემბერს (ვერის ბალის კალათბურთის მოედნის ხელოვნურ ყინულზე, რომელიც საგანგებოდ მოამზადეს მოსკოვის საბალეტო დასის გასტროლებისთვის).
04. 1977 წ. დაიბადა ვიქტორ დიდებულიძე - რაბი.
05. 1975 წ. დაიბადა გიორგი გახვიცი - ფეხბურთი.
06. 1921 წ. დაიბადა მიხეილ პირაველი - ფეხბურთი. დაბადებიდან 90 წ.
07. 1948 წ. დაიბადა გენადი გორგაძე - სამბო.
07. 1973 წ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა უეფას თაისის 1/16 ფინალში განმეორებითი მატჩი ბელგრადში ოფ-ს-ს 5:1 მოუგო.
09. 1932 წ. დაიბადა გიორგი სხირტლაძე - თავისუფალი ჭიდაობა.
09. 1947 წ. დაიბადა თამაზ გორგაძე - ჭადრაკი.

ვიქტორინა

1. რომელი წლიდან მონაწილეობენ ქართველი ფალავნები მსოფლიოს ჩემპიონატებში თავისუფალ ჭიდაობაში?
 ა - 1951 წლიდან
 ბ - 1952 წლიდან
 გ - 1954 წლიდან
2. რა ენოდება ძველად საქართველოში აკრობატიკას?
 ა - ჩაშუმვა
 ბ - მუჰაბიშა
 გ - წვართხვა
3. სპორტის რომელი სახეობით დაინიშნა საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატებში 1946 წლიდან?
 ა - მძლეობაში
 ბ - წყნარჭიშკით
 გ - სასალაპრთით
4. რომელ წელს მოიპოვა ძიუდოში საქართველოდან მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა თემურ ხუბულურმა ეს ტიტული მეორედ?
 ა - 1978 წელს
 ბ - 1980 წელს
 გ - 1981 წელს
5. თბილისის „დინამოდან“ რომელი იყო სსრ კავშირის №1 ფეხბურთელი 1977 წელს?
 ა - ალექსანდრე ჩიხაძე
 ბ - დავით ყიფიანი
 გ - რამაზ შხმალია

პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი საქართველოდან წყალში ხტომაში ევროპის ჩემპიონი გახდა თბილისელი ბორის პოლულაინი 1962 წელს. პირველმა საქართველოს მოცურავეებიდან ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისელმა ბორის ნიკიტინმა. იგი მელბურნის ოლიმპიადის (1956) მესამე პრიზიორი გახდა. პირველად საჭადრაკო სკოლა - იტალიური, რომელმაც ჭადრაკი ხელოვნების რანგში აიყვანა, XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდა.



ქართული სპორტი

● სპორტსმენები

მსოფლიოს თასის აჭაპი ქაპასნიის ლიგა



მიზეზების გამო, სამწუხაროდ, სომეხი მხედრები ვერ ახერხებენ ჩასვლას ბაქოში და შესაბამისად, მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის საგზურები მხოლოდ ქართველ და აზერბაიჯანელ მხედრებში თამაშდება. ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ქვეყნების ცხენოსნები თავიანთ ლიგაში აგროვებენ საკვალიფიკაციო ქულებს, ბაქოში კი მათი ინტერესი ოთხეულში მოხვედრით საპრიზო ფონდიდან წილის მოგება იყო. ცხადია, კავკასიელებისთვის... ქულებიც და ფულელებიც.

ქონჯარი № 1 (მხირა ქლასი)

1. პიერ ჟანი (საფრანგეთი)
2. ალექსანდრ ტიმოვი (აზერბაიჯანი)
3. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო)
4. ცოტნე თავაძე (საქართველო)

ქონჯარი № 2 (მაღალი ქლასი)

1. ალექსანდრ ლუსინა (პოლონეთი)
2. ჯამალ რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)
3. ალექსანდრ ლუსინა (პოლონეთი)
4. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო)

ქონჯარი № 3 (მხირა ქლასი)

1. გეგი მეტონიძე (საქართველო)
2. ალექსანდრ ტიმოვი (აზერბაიჯანი)
3. ეტიბარ ხალილოვი (აზერბაიჯანი)
4. პიერ ჟანი (საფრანგეთი)

ქონჯარი № 4 (მაღალი ქლასი)

1. ჰარი სმოლდერსი (პოლონეთი)
2. ჯამალ რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)
3. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო)
4. ჯამალ რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)

ქონჯარი № 5 (მაღალი ქლასი)

1. ჯამალ რაჰიმოვი (აზერბაიჯანი)
2. ალექსანდრ ლუსინა (პოლონეთი)
3. პიერ ჟანი (საფრანგეთი)
4. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო)

თორნიკე გაჩეჩილაძე

დაბრკობაში გადასვლაში ეს ასპარეზობა წლებს მეტივედ გაიმართა ბაქოში, რომელიც ამჯერად აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. ასპარეზობაში ქართველ მხედართა შედეგები შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს მით უფრო, რომ წარმატებისთვის მასპინძელთა ძლიერი პოლინეთის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. ცნობილი

● იუბილარი

ნოდარ გელიაშვილი 70 წლისაა

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც არ წუხს იმის შესახებ, რაც არ აქვს, და ხარობს იმით, რაც აქვს (დემოკრიტი).



ჩვენი ნოდარი!
მართალია, შენს ცხოვრებაში რაიმე ისტორიული ძვრები არ მოგიხდენია, დაფინის გვირგვინები და დიდების შარავანდედი არ მოგიპოვებია, მაგრამ შენი უხმაურო, თავდადებული შრომით სახალხო საქმეში შენი მოკრძალებული წვლილი შეგიტანია. მთელი შენი სიცოცხლე ადამიანების სიყვარულის სხივითაა გამთბარი. დაუღალავ შრომაში, მუდამ გარჯასა და სიკეთის ქმნაში გაირბინეს წლებმა. გასული საუკუნის 60-იანი წლების ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მოტივადვე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ცნობილი მწვრთნელები დიდ მომავალს გინიანსარმეტყველებდნენ, ვინაიდან სხვადასხვა დროს დამარცხებული გაყვდათ ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები.

ნოდარ გელიაშვილი არ არის ყველას მეგობარი, მაგრამ ჩვენი მეგობარია, პირველობით ქება იქნება თუ მართალ, ჭეშმარიტ ქებას არ მოვუწვევებთ. მან თავისი გულის სიტბო უხვად დახარჯა ადამიანების სიყვარულში. ბევრმა მივიღეთ, შევითვისეთ მისი კეთილი სიტბო. ალბათ ამიტომ არის, მისმა ნათელმა გულმა გამოჩვეული ყურადღება და პატივისცემა რომ დაიმსახურა ჩვენგან. ნოდარ გელიაშვილი წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს კაცურ კაცობის, პრინციპულობისა და ღირსების გრძნობით ცხოვრებისა.

გულწრფელად გილოცავთ დღევანდელ დღეს, გვიხარია, ძალიან გვიხარია, რომ შენი სახით ღირსეული მეგობარი გყავს. იღვრებოდა, იმზერებოდა მრავალჯამიერ შენს დიდებულ ოჯახთან ერთად.

როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, გურამ სალარაძე, ვლადიმერ კანკავა, ზარბეგ ბერიაშვილი, თამაზ მაჭავარიანი, მერაბ ლუდუშაური, მიხეილ სალაძე, გურამ გედებაური, თემურ აფხაზაძე, ესტატე გოგლიჩიძე, ომარ ბლიაძე, კოტე ლულუნიშვილი, რომან ლულუნიშვილი, ზურაბ ჯორჯიკია, ვასილ ცუხიშვილი, გაბრიელ ბარჯაძე, მურმან ჩიბურდანიძე, გელა ჭელიძე, ომარ ევაძე, ოთარ ტატიშვილი, თამაზ სირბილაძე, თემურ ქურციკიძე.

სპორტული რადიო
ქა - კო
Ja - Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

● კალათბურთი. სპორტივა ტალანტარში



ყურადღება, ყურადღება: ლაპარაკობს და ურვენებს აფხაზეთის ხმა

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩების ტელევიზიით გადაცემა დღის წესრიგიდან იყო მოხსნილი, მხოლოდ ფინალურ ტრანსლაციებში თუ ხორციელდებოდა. დღეს ამ მხრივაც უკეთესობისკენ შეიცვალა სიტუაცია. უკვე ორი ტელეარხი გადასცემს სუპერლიგის რეპორტაჟებს, თან რაც მთავარია - უკლებლივ ყველას. მაგალითად, ბოლო ტურში ოთხი მატჩი მასურებელს ტელეკომპანია „აფხაზეთის“ ხმამ შესთავაზა, ხოლო ცენტრალური - „პირველმა არხმა“. ასე გაგრძელდება სამომავლოდაც.

გუშინ კი კალათბურთის ფედერაციასა და „აფხაზეთის ხმას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელსაც ხელი ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და ტელეკომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დათეშვიძემ მოაწერეს. ამ მოვლენის მნიშვნელობაზე მასმედია და სუპერლიგის კლუბების წარმომადგენელთა წინაშე სპორტის მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა ილაპარაკა:

- პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო საზოგადოებრივ მაუწყებელს ქართული სპორტის პოპულარიზაციის-

თვის. სუპერლიგის ცენტრალურ თამაშებს კვლავ „პირველი არხი“ გადასცემს, დანარჩენ მატჩებს კი, რომელიც არანაკლებ საინტერესო და დაძაბულია, გულშემატკივარი „აფხაზეთის ხმის“ ეთერით იხილავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ტელეკომპანია თითქმის მთელ საქართველოს ფარავს. ასე რომ, სუპერლიგის მატჩების ნახვა ყველას შეეძლება. ეს პროექტი უფრო პოპულარულს გახდის კალათბურთს, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ასევე მინდა გულშემატკივარს მეტი აქტიურობისკენ მოვუწოდო. იმედი მაქვს, მწვრთნელ სპორტის სასახლეში და ევროპულენჯის მატჩში „არმიას“ მხარდასაჭერად ბევრი კომიკი მოვა.

„აფხაზეთის ხმის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დათეშვიძემ აღნიშნა, რომ მისი ტელეკომპანია მხოლოდ კალათბურთით არ შემოიფარგლება:

- ვაპირებთ სპორტის სხვა სახეობების ტრანსლირებასაც. მაგალითად, რაგბისა და ფრენბურთის ჩემპიონატების. საფეხბურთო პირველობის ჩვენება არ ვანიხილვება, რადგან უფლება „პირველ არხს“ აქვს ნაყიდი. ცვლილებით ყველაფერი გავაკეთეთ ქართული სპორტის პოპულარიზაციისთვის და სხვებსაც მოვუწოდებთ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა

სამინისტროსა და სპორტულ ფედერაციებს გვერდში დაუდგნენ.

მოუწმინდო კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს:

- საინტერესო ინიციატივა წამოვიდა „აფხაზეთის ხმის“ ხელმძღვანელობისგან, რომელსაც მხარს უჭერს კალათბურთის ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. „აფხაზეთის ხმა“ პირდაპირ ეთერში გადასცემს სუპერლიგის ყველა თამაშს, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ნაჩვენები ცენტრალური შეხვედრისა, რაც კალათბურთის პოპულარიზაციას ხელს შეუწყობს და ამ სახეობას კიდევ უფრო წარმატებულს გახდის.

ამ ამბავს დადებითად აფასებს „არმიის“ მწვრთნელი კოტე ტულუში:

- სუპერლიგაში არაერთი საინტერესო მატჩია და მათი ტელევიზიით გადაცემა დადებითი მოვლენაა. ეს კალათბურთის განვითარებაზეც დადებითად იმოქმედებს და ნებისმიერი ჩვენგანისთვის მისასალმებელია. მაგალითად, მე, როგორც მწვრთნელს თუ აქამდე დარბაზში დიდი ხნით მინევედა ყოფნა, ახლა შემიძლია ზოგიერთ მატჩს ტელეეკრანიდან კომფორტულად მივადევნო თავალი.

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბურთი. ტრანსფერი

ქარბურთის საქართველოშია

საპალატბურთო საზოგადოება იცნობს ვინს კარტერს, ენტონი კარტერს, ახლა კეიონ კარტერის გაცნობის დროა - იგი უკვე საქართველოშია და ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ თეთრ-წარინჯისფერი მაისურით ითამაშებს.

კეიონი 203 სმ სიმაღლისა და 1988 წლის 30 აპრილსაა დაბადებული. მას საუნივერსიტეტო კალათბურთში მხოლოდ „ოლდ დომინიონის“ შემადგენლობაში აქვს ნათამაშები. იგი ამ კოლეჯში ოთხი სეზონის განმავლობა-

ში, 2007-დან 2011 წლამდე გამოდიოდა. ბოლო სამ სეზონში კარტერი საოცარი სტატისტიკით გამოიჩინა: პირველ წელს საშუალოდ 22.1 წუთს თამაშობდა, მეორე წელს - 22.2-ს, მესამე წელს - 22.5-ს. ქულებიც სამივე სეზონში თითქმის თანაბარი ჰქონდა (7.9, 7.4, 7.3) და მოხსნებაც (4.6, 4.9, 4.1).

„დინამოს“ ახალწვეული ამპლუით ფორვარდია, შეუძლია როგორც ფარქვეშ თამაში, ასევე პერიმეტრიდან ტყორცა. ინტერნეტში მისი მონაწილეობით

საინტერესო ეპიზოდები რომ შევათვალიერებ, თვალში მეცა პერიმეტრიდან ტყორცების სიუხვე. მას 2008-09 წლების სეზონში 22 სამქულიანი აქვს ჩაგდებული, 2009-10 წლებში - 25, 2010-11-ში - 17. კეიონი ორქულიანებსაც ნორმალური სიზუსტით ისვრის - 43-44 პროცენტით.

მან შაბათს „სამედიცინოს“ წინააღმდეგ უნდა ითამაშოს. აქვე შევახსენებთ, რომ მესამე ტურში დინამოელთა რიგებში დებიუტი ჰქონდა კიდევ ერთ ლეგიონერს, უკანახაზელ ნოელ დეივს.

ვაჟა სიმონიშვილი



IV ტურის
SEASON 2011/12

4 ნოემბერი
მათაშვილი-საშა 17:00

4 ნოემბერი. ძეთაბასი
კოტიაშვილი-თსუ 18:00

5 ნოემბერი
სპორტის სასახლე

ოქტომბერი-ნოემბერი 12:00

ანთაბასი-სსს 14:00

შინაბასი-თსსუ 16:00



კვირის ჩამონათბი, 19

19-წლამდელებმა ალაფის საგზური მოიპოვეს

საპარტიკლო-რუმიანი 24:8

საპარტიკლო: 15. საბა ნიკოლაძე, 14. გიორგი ბინაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გიორგი ბასილაია, 9. გიორგი მისრიაშვილი. 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. დავით ხიდუშელი, 3. ვახტანგ ახოვაძე, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ვახტანგ რაფაია. 3:5. გოგოლაშვილი, მამრიკიშვილი, შარიქაძე. 3:5. ნიკოლაძე.

არტყა და ანგარიში სხვაობა ხუთ წუთამდე შეამცირა. პირველი ნახევრის დარჩენილ დროში რუმინელები მუდმივად შეტევაში იყვნენ. რაკი თამაშისას ჩვენი მორაგებები ხშირად ჯარიმდებოდნენ. „ნორჩმა მუხის ფოთლებმა“ ორჯერ კარის დალაშქერაც სცადეს, მაგრამ დამრტყელი ორივეჯერ ცუდად გაისარჯა. 8:3-ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მატჩის მეორე ნახევარში მოედანზე ვითარება დიამეტრულად შეიცვალა. ჩვენმა გუნდმა თამაშის ტაქტიკა შეცვალა. მეტოქეს ღონით რომ ვერ აჯობა, ხელდახელ თამაში დაიწყეთ და ცდილობდა ბურთის ბოლომდე, კიდევმდე ჩათამაშებას. ამ სტრატეგიამ გაამართლა და ამჯერად უპირატესობას მთლიანად „პატარა ბორჯღალოსნები“ დაუფლნენ.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ჩვენმა მორაგებებმა შეტევა მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიწყეს. მარცხენა ფრთაზე გარემარბმა გიორგი ბინაძემ იყოჩაღა, დაცვის ხაზი გაჭრა და მეტოქის ოცდაორმეტრიან ხონამდე ირბინა. იქ მასთან ბრძოლაში რუმინელები დაჯარიმდნენ. საჯარიმო ზურაბ ძნელაძემ სწრაფად გაათამაშა და ფეხით მარჯვენა ფრთაზე გადაკიდა, სადაც ბურთს მეორე გარემარბი ლევან გოგოლაშვილი დაუხვდა, რომელმაც პირველი ლელო გაიტანა. ნიკოლაძემ გარდასახა - 10:8.

ათიოდე წუთის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ასეთივე რამდენიმეფაზიანი შეტევა განახორციელა. იერიშის მიმართულების ცვლამ შედეგი გამოიღო, რუმინელთა დაცვის ხაზი გაინელა,

ცარიელი, დაუცველი სივრცეები უხვად გაჩნდა, რითაც შესანიშნავად ისარგებლა მესამეხაზელმა ბექა მამრიკიშვილმა და მორიგი ლელო მიითვალა, ნიკოლაძემ ესეც გარდასახა - 17:8.

ასეთ, თითქმის თანაბარი გუნდების თამაშში, ეს ცხრაქულიანი სხვაობა, შესაძლოა, საკმარისი ცოფილიყო, მაგრამ ჩვენები ამას არ დასჯერდნენ. თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე შერკინება რუმინელთა სასარგებლოდ, მათი ლელოდან ხუთ მეტრში დაინიშნა. ჩვენმა მორკინალებმა ბურთის მოგება შეძლეს, ცხრა ნომერმა გიორგი მისრიაშვილმა ბურთი სწრაფად გაიტანა მარცხნივ გრძელ ფრთაზე, სადაც შუამარბმა მერაბ შარიქაძემ ხაზი გაჭრა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. ნიკოლაძეს გარდასახვა არც ამჯერად გასჭირვებია - 24:8.

რუმინელები ბევრს ეცადნენ უკულმა დატრიალებული ბედის ბორბლის ნაღმა შემობრუნებას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. „პატარა ბორჯღალოსნები“ დაცვაში თამაშისას უშეცდომოდ გაისარჯნენ და სასურველი ანგარიში შეინარჩუნეს.

ფინალში, რომელიც ხუთ ნომბერს გაიმართება, საქართველოს ნაკრები რუს თანატოლთა გუნდს დაუპირისპირდება.


კვირის ჩამონათბი, 19	
ნახევარფინალი	
საპარტიკლო-რუმიანი	24:8
რუსეთი-პოლანდია	45:8
ფინალი	
5 ნოემბერი	
საპარტიკლო-რუსეთი	

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მასპინძელი თანატოლები 24:8 დაამარცხა და მომავალ წელს იაპონიაში გასამართი „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე“ თამაშის უფლება მოიპოვა.

„პატარა ბორჯღალოსნებისთვის“ თამაში ძალიან მძიმედ დაიწყო. რუმინელები თავიდანვე დიდი შემართებით თამაშდნენ. ჩვენს ბიჭებს ცოტა დაბნეულობა ეტყობოდათ და თამაშის დასაგებას ვერაფრით ახერხებდნენ.

ანგარიში მასპინძლებმა საჯარიმოთი მე-5 წუთზე გახსნეს - 3:0. მისი გაქვითვის საშუალება მალევე მოგვეცა, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან ფულბეკმა სება ნიკოლაძემ არაზუსტად დაარტყა. ამას რუმინელების ლელო მოჰყვა. მასპინძლებმა აუტი ჩვენს ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში მოანოდეს, მოლი შეკრეს და ლელოში შეიღწიეს, თუმცა გარდასახვა ვერ გაიტანეს.

პირველ ტაიმი საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ შეუტია და კვლავ საჯარიმოს რეალიზების უფლება მოიპოვა. ამჯერად ნიკოლაძემ ზუსტად და-



კვირის ჩამონათბი, 19

თაშილის მსახურნი-იბივანი


თიბერძელის დასაწყისში სტარტს აიღებს ექვსი ერის მორიგი გათამაშება. რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) დაამტკიცა იმ არბიტრების სია, ვინც ამ ტურნირის მატჩებს მოემსახურება.

აღსანიშნავია ერთი სიახლეც, იტალიის მორაგებთა ნაკრები საშინაო მატჩებს რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ გამართავს.

კვირის ჩამონათბი
4 თებერვალი
საფრანგეთი-იტალია
შოტლანდია-ინგლისი
5 თებერვალი
ირლანდია-უელსი
11 თებერვალი
იტალია-ინგლისი
საფრანგეთი-ირლანდია
12 თებერვალი
უელსი-შოტლანდია

25 თებერვალი
ირლანდია-იტალია
ინგლისი-უელსი
26 თებერვალი
შოტლანდია-საფრანგეთი
10 მარტი
უელსი-იტალია
ირლანდია-შოტლანდია
11 მარტი
საფრანგეთი-ინგლისი
17 მარტი
იტალია-შოტლანდია
უელსი-საფრანგეთი
ინგლისი-ირლანდია

მსოფლიოს თასის ექვსი



მალინდერს პოპების თავკაცობა სურს

ინგლისური კლუბის „ნორსჰემტონ სანის“ მწვრთნელ ჯიმი მალინდერს ქვეყნის ეროვნული ნაკრების თავკაცობა სურს, „პოპების“ მთავარი მწვრთნელის, მარტინ ჯონსონის ბედი, ახალ ზელანდიაში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ, ჯერაც გაურკვეველია, თუმცა ჯონსონს თანამდებობიდან წასვლის თაობაზე განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

მალინდერი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში ორი კვირა აქვს მოხვეჭილი, გამოტყდა, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე ოცნებობს.

„ყველა მოთამაშე ოცნებობს, რომ თავისი ქვეყნის უპირველეს გუნდში ითამაშოს. ვფიქრობ, ასევე იქცევიან მწვრთნელებიც. ყოველთვის უნდა ეცადო, უკეთესი გახდე და, რაც შეიძლება მეტს მიაღწიო. თუ ერთ მწვრთნელს დღეს ნაკრების მწვრთნელობას შემომთავაზებენ, უარის თქმა ძალიან გამჭირდება.“

ინგლისის ნაკრების მწვრთნელად მუშაობა უმძიმესი ტვირთია. ჩემი 10-წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია „პოპების“ თავკაცობაზე ვიფიქრო, თუმცა ჯერჯერობით ისევე საკლუბო რაგბის შესწავლით ვარ დაკავებული“ - თქვა ჯიმი მალინდერმა.

პენრი რეკონსტრუქციას პანსენს აკლავს

მსოფლიოს თასის ახალი მფლობელის, ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელმა გრემ პენრიმ თავის მემკვიდრედ სტივ ჰანსენი დაასახელა, რომელიც აქამდე მის ასისტენტად მუშაობდა. პენრი ამტკიცებს, რომ საჭიროა მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვა.

„ფიქრობ, მემკვიდრეობითობის დაცვა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვასული წლების გამოცდილება დაიკარგება. ამიტომ ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სტივ ჰანსენი უნდა იყოს.“

ეს ჩემი პირადი აზრია, მას, ვისაც „ოლ ბლეკის“ საქის მართვა მოუწევს, წარსულის გაკვეთილები აუცილებლად დასჭირდება მომავლის შესაქმნელად.

კრუსეიდერს მათა და კარბარი დააკლდნენ

ზიმბაბუის გათამაშების ფავორიტი ქრისტიანობის „კრუსეიდერი“ ახალ სეზონის ლიდერების, მესამეხაზელი რიჩი მაქოასა და მეზავი დენ კარტერის გარეშე დაინსყებენ. ორივე მათგანმა სერიოზული ტრავმა მსოფლიოს თასის მსვლელობისას მიიღო.

კარტერმა საზარდული დაიშვა და ოპერაცია გაუკეთეს. ის, უკეთეს შემთხვევაში, თამაშს მარტის ბოლოსთვის შეძლებს. გაცილებით რთულად აქვს საქმე მაქოას, რომელიც იმავდროულად გუნდის კაპიტანაცაა. მან მსოფლიოს თასის გათამაშება ნატკენი ფეხით ჩაამთავრა და თუ ოპერაცია დასჭირდა, გამორიცხული არ არის, რომ მომავალ სეზონში ვეღარ ითამაშებს.

„ჯეგროსის“ მწვრთნელს ტოდ ბლეკედერს სჯერა, რომ მის გუნდს ამ მართლაც უდიდესი მორაგებების გარეშე შესწევს ძალა გათამაშებაში სტრატეგი წარმატებულად აიღოს.

გვერდი მოამზადა ბესიკ ჯანაშვილი

ახალი სპორტი

ფორმალა 1



რომენ გროსუანი

კუბისა შეიქმნება ვერ დაბრუნდეს

ფრანგული საჯინიბოს „ლოტუს-რენოს“ ხელმძღვანელმა ერიკ ბულიემ განაცხადა, რომ კვლავაც არ არის დარწმუნებული იმაში, რომ პოლონელი პილოტი რობერტ კუბიცა შეძლებს 2012 წელს რბოლებში დაბრუნებას.

„ჩვენ ისევ ველოდებით - როდის მოვა ჩვენთან კუბიცა და გვეტყვის, რომ მზად არის ტესტებისთვის.“

ბოლო ინფორმაცია, რომელიც მე განმარტავს, ასეთია: ჩვენ ერთად უნდა დავსხედეთ და განვიხილოთ - როგორ შევძლოთ მისი საჭესთან დაბრუნება. არ მჯერა, რომ ის მზად არის უახლოეს დღეებში შეუდგეს ტესტებს. უახლოეს რამდენიმე კვირაში შესაძლებელია, მაგრამ უახლოეს დღეებში - არა. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ ერთად შევიძლება მისი დაბრუნების გეგმას. მაგრამ ეს გეგმა სწორი უნდა იყოს. შეიძლება არ მინდა ამის გაკეთება, მაგრამ თუ ის ვერ დაბრუნდება, მაშინ გუნდს ალტერნატიულ ვარიანტზე მოუწევს ფიქრი.

ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს. 2009 წლის მანქანები მას ავტოფარეხში ელოდება. მზად ვართ ტესტების დასაწყებად - მხოლოდ კუბიცას პასუხს ველოდებით. ვიცი, რომ მისი გუნდის წევრები ძალიან თავდაჯერებულნი არიან და ეს მახარებს.

ბატონი: კიდევ საში ნელი მაკლარენი

სრულიად შემთხვევით გაირკვა ბრიტანელი პილოტის ჯენსონ ბატონის ახალი კონტრაქტის დეტალები თავის ამჟამინდელ გუნდთან - „მაკლარენთან“. ინდიოეთის გრანპრის შემდეგ ბრიტანელი საჯინიბოს შემფინანსებელი მარტინ უიტმარშმა BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში შემთხვევით გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ბატონი „მაკლარენში“ კიდევ საში ნელი გამოვა.

მანამდე ცნობილი იყო, რომ ჯენსონმა გუნდთან მრავალწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ დეტალები არ გახმაურებულა.

მაგრამ, როცა ედი ჯორდანმა BBC-ის ეთერში უიტმარშს ჰკითხა - ბატონი

რებს, რადგან მე - პირველი ვარ მათ შორის, ვისაც რობერტის საჭესთან დაბრუნება უნდა.

არავის არ აქვს სამედიცინო დასკვნა, არავის უნახავს იჯდა თუ არა ის საჭესთან. სანამ არ ვნახავთ მას და არ მივიღებთ დადასტურებას, არაფრის თქმა არ შეიძლება. სამწუხაროდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ის შეიძლება ვერ დაბრუნდეს“, - ამბობს ბულიემ Autosport-თან ინტერვიუში.

ბულიემ ამ განცხადების შემდეგ ფრანგულმა ვებგვერდმა Tomorrow-NewsF1-მა გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ გაიზარდა „ლოტუს-რენოში“ რომენ გროსუანის ჩარიცხვის შანსი. იტყობინებინ, რომ ვერ კიდევ ზაფხულში გროსუანი გუნდში მოხვედრის ერთ-ერთ ძირითად კანდიდატად მიიჩნეოდა, მაგრამ ფრანგულმა საჯინიბოში ვერ მოილაპარაკა ფინანსური მხარდაჭერის შესახებ კონცერტ „რენოსთან“ და სანავთობო გიგანტ Total-თან. ახლა GP2-ის სერიის წლებიდან გამარჯვებულს ფორმულა 1-სკენ ორი გზა აქვს: ან „ლოტუს-რენოს“ პილოტი გახდება ან „უილიამსში“ რუბენს ბარიკოსს ადგილს დაიკავებს.

უფრო დამაჯერებლად გამოდის ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ? - უიტმარშმა შემდეგი უპასუხა: „საიმოვნებოთ გავიზიარებდი ამ აზრს, მაგრამ ჯენსონი, უბრალოდ, ძალიან განონანს-ნორებული და მონესრიგებული ადამიანია. ის შესანიშნავად უმკლავდება თავის სამუშაოს, კარგად მოერგო გუნდს და იმედი მაქვს, კიდევ საში ნელი ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობა გვექვს“.

უიტმარშის განცხადებიდან გამოდის, რომ ბატონისა და „მაკლარენის“ თანამშრომლობა 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდება.



უიტმარში და ბატონი

კივის ბრანსფერი აბუ დაბიუ გამოცხადდება?

ფინურმა ტელეკომპანია MTV3-მა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა - შესაძლოა, აბუ დაბის გრანპრის დროს გამოცხადდეს „უილიამსსა“ და ფინელი კიმი რაიკონენს შორის კონტრაქტის გაფორმება. თუმცა კივის გუნდის წევრებმა გააფრთხილეს ჟურნალისტები, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ჭორია.

ვარაუდობენ, რომ აბუ დაბის სარბოლო უქმეების დროს ბრიტანული საჯინიბო გამოაცხადებს თანამშრომლობის შესახებ ახალ მსხვილ სპონსორთან, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნება მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის გაფორმება. სპონსორის ვინაობა ჯერ უცნობია. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ გუნდი მოლაპარაკებებს აწარმოებდა კატარის ეროვნულ ბანკთან.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

ბაღარენილი პაუინგბოი

ბუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ხუთი მატჩი გაიმართა. ყველაზე დაძაბული და სანახაობრივი შეხვედრა ვაშინგტონში ჩატარდა, სადაც ადგილობრივი „კეპიტალზი“ საკუთარ მოედანზე იღებდა „ანაჰაიმს“.

დედაქალაქელებმა ფაქტობრივად ნაგებული მატჩის გადარჩენა შეძლეს - შეხვედრის მსვლელობისას მათ ჯერ სამი, შემდეგ კი ორმაიბიანი ჩამორჩენის გაბათილებამ მოუწიათ.

შეუდარებელი იყო ამ მატჩში „ანაჰაიმის“ 41 წლის ფინელი ლეგენდა ტეემუ სელიანე, რომელმაც თავისი გუნდის ოთხივე გოლში მიიღო მონაწილეობა. თავდაპირველად, მან იდეალური პასი მისცა თანამემამულე საკუ კოიფუსს. მალე ამ უკანასკნელმა ვალი დაუბრუნა პარტნიორს - რამდენიმე ვაშინგტონელი თავისკენ გადაიყვანა და პრაქტიკულად ცარიელ კუთხესთან მისცა პასი სელიანეს - 0:2.

მართალია, „ვაშინგტონი“ ორჯერ მეტს ურტყამდა, მაგრამ გოლები მის მეტოქეს გაჰკონდა. მატჩის ევეატორზე „იხვებს“ სამეული ისე გაუსწორდა მეტოქეს, თითქოს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა: ტეემუმ დუბლი შეასრულა - 3:0.

მაგრამ პარალელურად, სტუმრების დაცვით ხაზში შეცდომებმა იმატა. ამით „ვაშინგტონმა“ ორჯერ ისარგებლა და მასპინძელთა გუნდი ბოლო შესვენებაზე ერთმაიბიანი ჩამორჩენით გაეშურა.

მესამე პერიოდის შუაში, „ანაჰაიმის“ რიცხობრივი უპირატესობისას კორი პერიმ კარის წინ იყოჩაღა და „იხვები“ ორი შაბით გავიდნენ წინ. მართალია, „ვაშინგტონმა“ ამ გოლს მალე უპასუხა,

მაგრამ ყველაფერი აღმოსავლეთის ლიდერის დამარცხებისკენ მიდიოდა. დარტყმების მხრივ ამკარა უპირატესობის მიუხედავად (მატჩის ბოლოს - 40:15), „კეპიტალზმა“ ვერაფერი მოუხერხა „ანაჰაიმის“ მეკარე ჰილერს.

მაგრამ საფინალო სირენამდე 42 (!) წამით ადრე ყველაფერი თავდაყირა დადგა. ჰილერი გაუმკლავდა ლეინის დარტყმას, მაგრამ ბექსტრიომის დამატებულს ვერაფერი მოუხერხა. გამარჯვების გოლი კი ამავე ფორვარდმა: კოვრტაიმის მესამე წუთზე გაიტანა: ოვერკინს ფეხით პასი გამოუვიდა და მეურვის გარეშე დარჩენილმა ბექსტრიომმა ერთი მეტრიდან გაისროლა - 5:4.

ზედიზედ ორი ნაგების შემდეგ, „ვაშინგტონმა“ მეორე გამარჯვება მოიპოვა და დაკარგული ტულებით ჯერაც რეგულარულის ლიდერია.

სელიანე კი დღის გამრადალიარეს. ფინელ ვეტერანს 12 მატჩში 14 (5+9) ტულა აქვს და მეექვსე ადგილზეა ბომბარდირთა სიაში. ცნობისთვის, „ვაშინგტონის“ რუსი ვარსკვლავი ოვერკინი თავისი 10 ტულით პირველ ოცდაათულშიც ვერ შედის.

დღის მეორე ვარსკვლავი გახდა ვანკუვერელი ალექსანდრ იდლერი, რომელმაც სამი ტულა (1+2) მოიპოვა „კალგარისთან“ მატჩში. „კენაქსმა“ შეხვედრის პირველ ნახევარში გადამწყობა გამარჯვებულის ბედი, როცა ხუთი უპასუხო შაბი გაუტანა „ფლიმზს“.

მეკარე გოლ პარდინგის დამაჯერებელი თამაში დაეხმარა „მინესოტას“ „დეტროიტის“ დამარცხებაში. ამ უკა-



ჯეიმს სკინერი

ნასკენლმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრა ნაავო, არადა, ერთი წუთი დააკლდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ლიდსტრიომის მიერ პირველ პერიოდში გატანილი გოლს „ველურებმა“ საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე მიკო კოიფუს შაბით უპასუხეს, რის შემდეგაც, ოვერტაიმში იმავე კოიფუმ სეტგაუჩის გაატანა. ჰარდინგი კი დღის მესამე ვარსკვლავი გახდა - მან 37-დან 36 დარტყმის მოგერიება მოახერხა.

სტენლის თასის მფლობელი „ბოსტონი“ საკუთარ მოედანზე იღებდა „ოტავას“. ბოსტონელები აღმოსავლეთის კონფერენციის ბოლო ადგილზე არიან და ამ შეხვედრას სამმატჩიანი ნაკებთა სერიით შეხვდნენ. „ოტავა“ კი პირიქით - შესანიშნავ ფორმაში შევიდა და აღნიშნულ მატჩამდე ზედიზედ ექვსი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე პერიოდის 47-წამიანი ინტერვალი, როცა 3:3-ზე ბოსტონელებმა - ბოჩუქმა და პეიმ ორი შაბი გაიტანეს და ეს გადამწყვეტი დარტყმა აღმოჩნდა „ოტავასთვის“.

ასევე ვერ პოულობს თავის თამაშს შარშანდელი სეზონის კიდევ ერთი ტრიუმფატორი „ტამპა ბეი“. ამ გუნდმა სტუმრად „კაროლინასთან“ გასსნა ანგარიში, მაგრამ მისი მონდომება წყალში ჩაყარა 19 წლის სკინერისა და ლაროუზის დუბლებმა. „კაროლინამ“ ამ მოგებით შეწყვიტა შინ სამმატჩიანი სეგბათა სერია.

ბოსტონი-ოტავა 5:3

1:2, 2:0, 2:1
გოლები: 0:1 ფოლინი-3 (და კოსტა-1, პატლერი-1), 1:1 ლუიში-4 (ბარა-4, საიდნებერგი-2), 1:2 და კოსტა-3 (ფოლინი-2, კ. ნილი-3), 2:2 პ. პერფორნი-3 (სეფიანი-7, მარჩანდი-3), 3:2 კელი-3 (პეველი-2, ბარა-5), 3:3 კოიფენი-1 (კ. ნილი-4, ფოლინი-3), 4:3 ბოჩოუკი-1 (კელი-4, პეველი-3), 5:3 პეი-2 (მ. ტორნტონი-1, გ. კემპბელი-1).

ვაშინგტონი-ანაჰაიტი 5:4 (ო)

0:2, 2:1, 2:1, 1:0
გოლები: 0:1 ს. კოიფუ-1 (სელიანე-8, ფაულერი-3), 0:2 სელიანე-4 (ს. კოიფუ-4, ლემბინი-4), 0:3 სელიანე-5 (ფაულერი-4, ბომპენი-3), 1:3 ჯ. უორდი-3 (ლეიჩი-4, ჩიმბრა-2), 2:3 ვიდმანი-3 (ლეიჩი-5, ჯ. უორდი-3), 2:4 პერი-5 (ფაულერი-5, სელიანე-9), 3:4 ბროფერი-2 (ერსკინი-1, ვიდმანი-7), 4:4 ბექსტრიომი-3 (ჩიმბრა-3, ლეიჩი-6), 5:4 ბექსტრიომი-4 (ოვერკინი-5, შულტცი-3).

კაროლინა-ტამპა ბეი 4:2

1:1, 2:0, 1:1
გოლები: 0:1 პურსელი-4 (მ. ბერფერი-11, მელონი-4), 1:1 ლაროუზი-2 (პარისონი-3, პონიკაროუსკი-1), 2:1 სკინერი-5 (მიტკანენი-5), 3:1 სკინერი-6 (ო. კინენი-6), 3:2 მ. კონილი-1 (სან ლეი-7, ლეკავალიე-4), 4:2 ლაროუზი-3 (ტლუსტი-4).

დეტროიტი-მინესოტა 1:2 (ო)

1:0, 0:0, 0:1, 0:1
გოლები: 1:0 ლიდსტრიომი-3 (ხეტერბერგი-2, დაციუკი-6), 1:1 მ. კოიფუ-1 (ფალი-1, სეტგაუჩი-3), 1:2 სეტგაუჩი-4 (მ. კოიფუ-6, ბუმარი-5).

კალგარი-ვანკუვერი 1:5

0:3, 0:2, 1:0
გოლები: 0:1 ჰიგინსი-6 (პანსენი-3, მალორტა-5), 0:2 ბაროუზი-4 (კესლერი-4, ედლერი-8), 0:3 სელიანი-5 (პ. სელიანი-10, ედლერი-9), 0:4 პოჯუსონი-3 (ლაპიერი-2, ვიისი-2), 0:5 ედლერი-3 (პოჯუსონი-2, ბუტი-3), 1:5 ტანგი-2 (კოსტაპოლსი-1, პატლერი-3).

სელიანე ლეფლერს გაასწრო

„ვაშინგტონთან“ მატჩში დაგროვებული ოთხი ტულის წყალობით „ანაჰაიმის“ ფორვარდი ტეემუ სელიანე NHL-ის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში 25-ე ადგილზე გადავიდა. მან უკან ჩამოიტოვა ლეგენდარული კანადელი გი ლეფლერი.

გუშინდელი მატჩის შემდეგ სელიანეს მონაგარი 1354 ტულას (642 გოლი და 712 შედეგიანი პასი) შეადგენს. ლეფლერს კი კარიერაში 1353 ტულა (560+793) აქვს მოპოვებული. ამ სიაში სელიანე გაუთანაბრდა ბრენდან შენეჰანს და მასთან 24-25-ე ადგილებს იყოფს.

ასევე წინსვლა ჰქონდა ფინელს გოლმარტინ სიაში - დიეგ ანდრეჟუკს გაასწრო და ახლა მე-13 ადგილზე იმყოფება. ორივე ნომინაციაში პირველ ადგილზე დიდი უიენ გრეტცკია, რომელსაც 2857 ტულა და 894 შაბი აქვს მოგროვებული.

ლეფლერი NHL-ში 1971-91 წლებში თამაშობდა და ლიგის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ არის მიჩნეული. კარიერის დიდი ნაწილი მან „მინორალ კანადიენსში“ გაატარა, რომელთან ერთადაც ხუთჯერ მოიპოვა

სტენლის თასი. კარიერის ბოლოს ის „კვებეკ ნორდისისა“ და „ნიუ იორკ რენჯერსის“ ღირსებას იცავდა.

პოზიციონირება	1	2
1. უიენ ბრეტცკი	2 857 (894+1 963)	
2. მარკ მესინი	1 887 (694+1 193)	
3. გორდი ჰოუ	1 850 (801+1 049)	
4. რონ ფრანსისი	1 798 (549+1 249)	
5. მარსალ ლიონი	1 771 (731+1 040)	
6. სტივ ბიზარგანი	1 755 (692+1 063)	
7. ბარიო ლეიტი	1 723 (690+1 033)	
8. ჯო საპირი	1 641 (625+1 016)	
9. იაროშირ იაბრი	1 610 (651+959)	
10. ფილ მსაოზიტო	1 590 (171+873)	
11. რიი ბურაბი	1 579 (410+1 169)	
12. მარკ რაი	1 533 (577+956)	
13. პოლ კოფი	1 531 (396+1 135)	
14. სტან მიკიტა	1 467 (541+926)	
15. ბარინან ტროტი	1 425 (524+901)	
16. ალან ლუსტინი	1 420 (341+1 079)	
17. ლუზ ბილმორი	1 414 (450+964)	
18. დიდი ჰაპირაჰაი	1 409 (518+891)	
19. იარი კარი	1 398 (601+797)	
20. ლუკ რუგბიტალი	1 394 (668+726)	
21. ბრეტ პალნი	1 391 (741+650)	
22. ბიპი მოლანო	1 374 (561+813)	
23. ჯონ ბასიკი	1 369 (556+813)	
24. ბრინანან შენეჰანი	1 354 (656+698)	
25. ტიმი სელიანი	1 354 (642+712)	

გოლმარტინი

1. უიენ ბრეტცკი	894
2. გორდი ჰოუ	801
3. ბრეტ პალნი	741
4. მარსალ ლიონი	731
5. ფილ მსაოზიტო	717
6. ბიპი ბარტონი	708
7. მარკ მესინი	694
8. სტივ ბიზარგანი	692
9. ბარიო ლეიტი	690
10. ლუკ რუგბიტალი	668
11. ბრინანან შენეჰანი	656
12. იაროშირ იაბრი	651
13. ტიმი სელიანი	642

გვერდი მოაგზავნა გია თხალაპაიშვილი



ტეემუ სელიანი

კალათბურთი



ვისი აჯობებს?

„მე მჯერა, რომ გუნდების უმრავლესობა მზად არის ხელშეკრულების მისაღებად. ამ მომენტისთვის მფლობელები ხელშეკრულების ახალ ვარიანტზე ფიქრობენ. თუ კალათბურთელები უარს იტყვიან წინა ვერსიაზე, მაშინ ახალი ხელშეკრულების პირობები ისეთი მომგებიანი აღარ იქნება“, - ამბობს სტერნი „ნიუ იორკ თაიმსთან“ კომენტარში.

ამასობაში, დაპირისპირებულმა მხარეებმა ისევ მოისურვეს დამოუკიდებელი შუამავლის დახმარებით მოლაპარაკებების წარმოება, მაგრამ ჯორჯ კოენმა, რომელიც ორი კვირის წინ ცდილობდა კონფლიქტის მოგვარებას, ამჯერად უარი განაცხადა მიმრიგებლის როლზე.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში შექმნილმა სიტუაციამ ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს თავის საყვარელ გასართობზე ააღებინა ხელი. ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი გოლფში „პრეზიდენტის თასზე“ გამოსვლას აპირებდა, უფრო მეტიც - ჯორდანი აშშ-ის ნაკრების ვიცე-კაპიტნად და ტურნირის ელჩად იყო არჩეული. მან სან ფრანცისკოში ანალოგიურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ახლა მელბურნში იყო მინვესტი, სადაც „პრეზიდენტის თასი“ 17-20 ნოემბერს გათამაშდება. მაგრამ მაიკლმა გადაიფიქრა ავსტრალიაში გამგზავრება.

ჯორდანმა, რომელიც „შარლოტ ბობკეტის“ მფლობელი გახლავთ, უფრანსის ტებს განუცხადა, რომ დღევანდელ სიტუაციაში აუცილებელია ქვეყანაში დარჩეს: „იმის გათვალისწინებით, რომ NBA-ში სიტუაცია გაურკვეველი რჩება, როგორც „შარლოტის“ მფლობელი მივიჩნევ, რომ მე აქ უნდა დავრჩე“.

ალსანიშნავია, რომ ჯორდანი პირველად არ მონაწილეობს გოლფის პროფესიულ ტურნირებში საპატიო სტუმრის სტატუსით. აშშ-ის ნაკრების ლიდერმა ფრედ კაპლზმა უკვე გამოთქვა სინანული ჯორდანის უარის გამო, რადგან მისი ლიდერის თვისებები გუნდს მორალური სულის ამაღლებაში დაეხმარებოდა.

ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოთამაშეთა პროფკავშირების რიგებში გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა. როგორც იცით, პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი ბილი ჰანტიერი ჯიუტად ითხოვს კალათბურთელებისთვის ლიგის საერთო მოგების 52-პროცენტთან წილს. ასეთი პოზიცია ხელს არ აძლევს კლუბების მფლობელებს და მათ აზრს უკვე კალათბურთელთა გარკვეული ჯგუფიც შეუერთდა.

„ამ მომენტისთვის ყველამ უნდა გააკეთოს არჩევანი ბილი ჰანტიერსა და დერეკ ფიშერს შორის. წინა შეხვედრაზე ბილიმ უბრალოდ თქვა 52 პროცენტი და დატოვა სხდომა. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. მოვიდა დრო, გადაწყვეტილება მოთამაშებმა მიიღონ. ჩვენ არ გვინდა უფრო მეტის დაკარგვა“, - ამბობს ერთ-ერთი კალათბურთელი Yahoo! Sports-თან კომენტარში.


ამ ინკოგნიტო მოთამაშის პოზიცია გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ NBA-ის კომისიის დევიდ სტერნის განცხადებას იმის თაობაზე, რომ კოლექტიური ხელშეკრულების ახალი ვარიანტი შეიძლება ისეთი მომგებიანი აღარ იყოს მოთამაშებისთვის.

დიდ ბენს საში თვით ჩასვამენ

„დეტროიტ პისტონზის“ ცენტრი ბენ უოლასი დამნაშავედ ცნეს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისა და იარაღის უკანონო შენახვაში. 13 დეკემბერს გაიმართება სასამართლო სხდომა, რომელზეც ვეტერან კალათბურთელს, სავარაუდოდ, 93-დღიან პატიმრობას მიუსჯიან. უოლასმა აღიარა ორივე დანაშაული და გამოიხატა თანაგრძობის მოთხოვნა, ამიტომაც მის ადვოკატს იმედი აქვს, რომ კალათბურთელს პირობითი სასჯელს აკმაორებენ.


ინციდენტი 24 სექტემბერს მიჩიგანის შტატის ქალაქ ბლუმფილდში მოხდა. დილის სამ საათზე პოლიციელმა საეჭვოდ მიიჩნია მანქანის მძღობრობა, რომელსაც უოლასი მართავდა.

ტესტმა ბენის სისხლში ალკოჰოლის გადამეტებული დოზა დააფიქსირა. გარდა ამისა, მის მანქანაში იპოვეს იარაღი, რომელზეც მოთამაშეს ლიცენზია არ გააჩნდა. მაშინ კალათბურთელი 5.500 დოლარის გადახდის შემდეგ თავებში გაანთავისუფლეს.



ბენ უოლასი

შაკი: კობის მოკვლა მიხდოდა!



შაკი ო'ნილი

„ორივენი ზღვარზე ვიყავით. მე იმის გამო, რომ ახალ კონტრაქტს ველოდებოდი, კობი იმით, რომ, შესაძლოა, ციხეში ჩავსვამოდა სექსუალური ძალადობისთვის. 2002-03 წლების სეზონის წინ მწვრთნელებმა გვითხრეს - არანაირი საჯარო კონფლიქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში - გარდა არ აგვცდებოდა. ფილ ჯექსონი ძალიან დაილაპარაკა ამისგან. კარლ მელოუნსაც და გერი პეიტონსაც მოჰპოვებდათ ეს ყველაფერი.“


შემდეგ რა მოხდა? შემდეგ ის წავიდა ჯიმი გრეისთან (ამერიკელ ჟურნალისტთან) და ინტერვიუ მისცა. იქ მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მე გასუქებული და ფორმიდან ამოვარდნილი ვარ. მან ისიც თქვა, რომ თითქმის ტრავმა გამოვიყენე იმისთვის, რომ მეტი თავისუფალი დრო მქონოდა, ხოლო თავად ტრავმა სერიოზული არ იყო. კიდევ თქვა, რომ ახალ კონტრაქტს ვითხოვდი იმ დროს, როცა ჩვენს გუნდში დიდების დარბაზის ორი წევრი თითქმის მუქთად თამაშობდა.

ინტერვიუ ვნახე და ვიგრძენი, რომ წყობიდან გამოვდიოდი. რამდენიმე საათის წინ მწვრთნელებს დავპირდით, რომ კონფლიქტი შეწყვეტილი იყო, მაგრამ ეს შეთანხმება უნდა დამერღვია. მიჭებთან მივედი ვუთხარი, რომ კობის მოკვლას ვაპირებდი“, - წერს ო'ნილი.

კობი პარჯიშვიტზე პერბმფრენით მიღის

„ლოს ანჯელეს ლიკარის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა ეტორე მესინამ „გაძედა დელო სპორტს“ მოუყვა იმის შესახებ, როგორ ირჩევდა სახლს ლოს ანჯელესში.

„ტელეფონით ველაპარაკე გუნდის წარმომადგენელს და ვკითხე - სად იქნებოდა უკეთესი საცხოვრებლად გაჩერება. ვილაპარაკე მირჩია, ბაზასთან ახლოს ამერჩია ბინა, სხეებმა კი, მავალითად, კობიმ, მითხრეს, რომ პირიქით, უკეთესი იქნებოდა თუ ბაზისგან მოშორებით დავსახლდებოდი. იმის გამო, რომ საათობით არ იდგეს საშინელ საცობებში, ბრაიანტი ხანდახან ვარჯიშებზე ვერტმფრენით მიღის. მაშინ ჩემთვის გავიფიქრე: „ის 25 მილიონს იღებს და შეუძლია ვერტმფრენით გადაადგილდეს ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში. რა შემიძლია მე მას ვუპასუხო?“, - ამბობს მესინა.



კობი პარჯიშვიტი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბიჯიშვილი

სხელი საზი

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'UNDER 17' and 'საფრანგეთი-ჩრ. ირლანდია'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'გაბრიელა ლიგა' and 'გაბრიელა-ნაპოლი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისი' and 'გაბრიელა ლიგა'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'კორპი-პიდარმისტირი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'გერმანია' and 'გაბრიელა ლიგა (საბ)'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'კორპი-გარმინი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'გერმანიის თასი' and 'პრანსი-პირი ბრივი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'ველფონ-მოსტარი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'სარაბო-პორატი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'შელფინგარი-სელიტი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'უკრაინა'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'დეპ. კიტო-ლუ დე ლუზა'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'კასა ლაზარალი-ოლიმპიკოსი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'ზაბრეტი-ცსკა'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'ოლიმპიკა-პროკოვი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'მონტაპასი-გალატასარაი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'პრ. პრილია-ლოკოტიტივი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'საბ-ამანბარდი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'დინამო (მწ)-საბრატატი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'დინამო (რ)-მიტალატი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'ლევ პოპრადი-სემერსტალი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'საბ-ტაპარა'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'ინგლისის თასი'.

Table with 2 columns: Rank and Name. Includes 'ინგლისის თასი' and 'ლიტონი-სლავია'.



● მოგზაობა

ნოვაკი პიოპლ დაპირდა

ქვეყნის პირველი ჩოგანი ნოვაკ პიოპლი. ამ მნიშვნელოვან მოვლენას ბაზელის ტურნირზე ჰქონდა ადგილი. გუშინდელ ნომერში გააცანით სერბი ჩოგბურთელის ტურნირის წინა კომენტარი, რომელშიც ნოვაკმა განაცხადა, რომ კარგად ვერ მოეშადა ამ სტარტისთვის და გულშემატკივრებს წინასწარ მოუხადა ბოდიში ცუდი თამაშისთვის.

ჯოკოვიჩი არ ცდებოდა. მას დიდი ჯაფა დაადაგა იმისთვის, რომ ბელგიელი ქსავიე მალისე დემარცხებინა და მისთვის შარშან ლონდონში მარცხისთვის რევანში აეღო. პირველ სეტში რეიტინგის ლიდერის უპირატესობა ამკარა იყო. ის მეტოქეზე გაცილებით ძლიერად და ზუსტად აწვდიდა, რისი წყალობითაც თავს დამაჯერებლად გრძობდა. სერბმა ორი ბრეიკი გააკეთა და მშვიდად დაინახა სეტებს შორის.

მაგრამ მეორე პარტიამ ჯოკოვიჩის სწორედ მოწოდებამ უღალატა. პირველი ბურთების ნახევარზე მეტი კვადრატში არ ვარდებოდა, ასე რომ, ჩოგბურთელებმა ადგილები გაცვალეს. ბელგიელმა სამი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და აქედან ერთი გამოიყენა, რამაც მას წინ გასვლის საშუალება მისცა. სერბმა დაკარგული ბრეიკი ვერ დაიბრუნა. ამას ვერც მოახერხებდა, რადგან მეტოქის მოწოდებაზე მხოლოდ სამი ქულის ალება შეძლო.

გადამწყვეტ სეტში ჯოკოვიჩმა ოდნავ გააუმჯობესა თამაში, თუმცა უკეთესობისკენ კარდინალური ცვლილებები არ შეიმჩნეოდა. ამკარად ჩანდა, რომ სერბს სათამაშო პრაქტიკა აკლდა. მიუხედავად ამისა, საკუთარი მოწოდებებით და მალისეს დახმარებით ჯოკოვიჩმა ერთი მეტი ბრეიკი გააკეთა და სამ სეტში გაიმარჯვა - 6:2, 4:6, 7:5.

სათამაშო დღეს სენსაციის გარეშე მაინც არ ჩაუვლია. ტურნირს გამოეთიშა მეოთხე ნომერი ტომას ბერდიხი, რომელიც ამ სეზონში უკვე მეორედ ვერ გაუმკლავდა იაპონელ კეი ნიშიკორის არადა, მეხვედრის სტარტზე ჩეხი დამაჯერებლად აკონტროლებდა სიტუაციას. მან ადრეული ბრეიკი გააკეთა და ზრუნავდა იმაზე, რომ უპირატესობა კიდევ უფრო გაეზარდა. 1:4-ზე ნიშიკორი თითქოს გამოცოცხლდა, ორი საკუთარი გეიმი აიღო და ერთი ბრეიკ-პოინტიც მოიპოვა, მაგრამ მისი მოწოდება დაგვიანებული იყო - ბერდიხმა ესით დაასრულა სეტი.

მეორე პარტიამ ორივე ჩოგბურთელი უხარისხოდ თამაშობდა - თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შეცდომების რაოდენობაში. 1:2-ზე ნიშიკორიმ ორმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, მეორე გეიმში იაპონელმა პირველი ბრეიკი

გააკეთა მატჩში და შემდეგ სეტზე ჩანოდებაც მოახერხა.

გადამწყვეტ პარტიაში ნიშიკორიმ ადრეული ბრეიკი გააკეთა. ბერდიხმა მეტოქეს ვერ უპასუხა, შემდეგ კი მეორეჯერაც წაავო საკუთარი მოწოდება და მისი თამაში საბოლოოდ მოიშალა. პირველი მოწოდება ბადეს ხედებოდა, ჩვეულებრივი დარტყმები კი ნახევარმეტრიან აუტში გადადიოდა. შედეგად, მხოლოდ ორი მოგებული გეიმი სეტში და წაგება სამ პარტიაში - 6:3, 3:6, 2:6.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ბაზელის ტურნირიდან განაცხადი გამოიტანა ბრიტანელმა ენი მიურეიმ. მსოფლიოს მესამე ჩოგანს პირველ წრეში პოლანდელი რობინ ჰაასეს წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ კუნთი დაეჭიმა და უარი თქვა კორტზე გასვლაზე. მისი ადგილი ძირითად ბადეში კვალიფიკაციაში დამარცხებულმა შვეიცარიელმა მარკო ჩიუდინელიმ დაიკავა.



საშიში ნილაბი



ბარში ჯოკომ ასე ახსნა თავისი გადამწყვეტილება:

„ბოლო ხუთი წელი ტრადიციად იქცა, რომ ჰელოუინის დღეს კორტზე გასვლამდე სხვადასხვა ნილაბს ვიკეთებ. როგორც წესი, ეს დღესასწაული პარიზის მასტერსს ემთხვევა, მაგრამ წელს ეს ტურნირი ერთი კვირით გვიან იწყება, თუმცა ამას ჩემს გეგმებზე გავლენა არ მოუხდენია. ეს მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობაა და იმედი, ვინმემ ეს შესტი არასწორად არ გაიგოს“, - განაცხადა ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ჯოკოვიჩმა.

„ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე „ტივტივზე“ კავშირი მქონდა ჩემს გულშემატკივრებთან და მათ მიხროვს, უარი არ მეტყვა ამ ტრადიციაზე. ნილაბი მთელი მატჩის განმავლობაში სკამზე ჩემს გვერდით იდო. ცოტათი საშიში სახანავი იყო“.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა ბაზელის პუბლიკა მხოლოდ თავისი სუსტი თამაშით არ გააკვირვა. სერბი ჰელოუინის აღსანიშნავად კორტზე ნილაბით გავიდა. მოგვიანებით, ჟურნალისტებთან საუ-

● მოკაი

ორგანიზაციის პარლისფარი კარდელი

პელოუინის დღესასწაულს სტენლის თასის მფლობელის - „ბოსტონ ბრუნის“ ჰოკეისტებიც გამოეხმაურნენ. ისინი სპეციალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ბავშვთა საავადმყოფოს ეწვივნენ.

ყველაზე საინტერესოდ „ბოსტონის“ ორმეტრიანი კაპიტანი, NHL-ის საუკეთესო მცველი ზდენო ხარა იყო გამოწყობილი - მას ვარდისფერი კურდღლის კოსტიუმი ერგო. სლოვაკ ჰოკეისტთან ერთად ამ აქციის მონაწილეობა მიიღეს მცველმა ადამ მაკუეიდმა, აგრეთვე ფორვარდებმა - ბრედ მარჩანდმა და ჯორდან კარონმა.

„ბავშვები თავიდან რიდით გვიყურებდნენ, მაგრამ არ მგონია, რომ ჩვენ


ისინი შევაძინეთ, - განაცხადა ხარამ. - მათ გაუხარდათ ჩვენი ვიზიტი. მთავარია, რომ ისინი გავაცინეთ. მსგავსი აქციები ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, გუნდის დანარჩენი წევრებისა და მთლიანად ქალაქისთვის. შესანიშნავი დრო გავატარეთ. იმედი მაქვს, ბავშვებსა და მათ ოჯახებს ეს სარგებლობას მოუტანს“.

„ზდენო ხარა შესანიშნავად გამოიყურებოდა ვარდისფერ კოსტიუმში. მან კარგად გაართვა თავი საკუთარ როლს, - აღნიშნა მარჩანდმა. - ძალიან სასაცილო იყო. ბავშვებს ეგონათ, რომ მათთან უცხოპლანეტელი მივიდა“.



ბოსტონელი ჰოკეისტები

● კრიკი



მორმეკი და კლიჩკო

მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციამ (WBO) 2011 წლის საუკეთესო მოკრივედ უკრაინელი სუპერმძიმწონისანი ვლადიმერ კლიჩკო გამოაცხადა. შეგახსენებთ, რომ ამ ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული უკრაინელმა 2008 წელს მოი-

● ცხენოსნობა

უხსოვარი დოლი ავსტრალიაში

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში, „ფლემინგტონის“ იბოდრომზე 151-წლიანი ისტორიის მქონე დოლი გაიმართა, რომლის სახელწოდებაც - „მელბურნ ქაფი“. ეს გახლავთ ავსტრალიის ტერიტორიაზე ყველაზე პრესტიჟული დოლი და წელს აქ 6 მილიონ 175 ათასი ამერიკული დოლარი გათამაშდა.

დოლი 23 ცხენი იღებდა მონაწილეობას. სხვათა შორის, წელს მელბურნის თასზე რეკორდი დამყარდა - სტარტზე 13 უცხოური ცხენი გავიდა.

ფავორიტი შარშანდელი ჩემპიონი - „ამერიკენი“ იყო. ბუკმეიკერებმა ხუთი ერთიან შეფასებას მისი შანსები, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ფრანგული ცხენი შარშანდელთან შედარებით საშანხევარი კილოგრამით დაძიმებული იყო. საბოლოოდ „ამერიკენი“ მეოთხე ადგილზე გავიდა.

დოლს კარგა ხანი ლიდერობდა გერმანული ცხენი „ილიო“, რომელზეც მელბურნის თასის ორგანიზაციის მფლობელი ჟოკეი ჯიმ კესიდი იჯდა. მაგრამ უკეთესი ფინიში ფრანგულ „დუნადენსა“ და ინგლისურ „რედ კალოს“ გამოუვიდათ. „დუნადენი“ ფავორიტებს შორის განიხილებოდა - მისი კოეფიციენტი 8/1-თან იყო, „რედ კალოს“ კი ასეთ სტატუსს არ ანიჭებდნენ და ბუკმეიკერები მის შანსებს 30/1-თან აფასებდნენ.

„დუნადენი“ და „რედ კალო“ ფინიშთან თითქმის ერთად მივიდნენ და ფოტოფინიშმა „დუნადენის“ გამარჯვება დააფიქსირა, რამაც ძალიან გააზარა მისი ჟოკეი კრისტოფ ლემერი. მესამე იყო გერმანული ცხენი „ლუკას კრანახი“, სულ კი პირველი შვიდი ადგილი უცხოურმა ცხენებმა დაისაკუთრეს.

კლიჩკო წლის მოკრივეა

პოვა, როცა ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ 12-რაუნდის ბრძოლაში ქულებით დაამარცხა სულთან იბრაჰიმოვი.

ეს იყო იბრაჰიმოვისთვის ბოლო ბრძოლა პროფესიულ რინგზე - იმ ფასკოს შემდეგ მან ვერ მონახა საკუთარ თავში კარიერის გაგრძელებისთვის ძალა. ვლადიმერმა კი იქედან მოყოლებული ექვსჯერ დაიცვა WBO-ის ტიტული. ამ ვერსიით კიდევ შვიდი საჩემპიონო ბრძოლა მან 2000-2003 წლების პერიოდში ჩაატარა, როცა პირველად გახდა WBO-ის ჩემპიონი.

შეგახსენებთ, რომ WBO-ის ბოლო რეიტინგის თანახმად, ამ ორგანიზაციის პირველი ნომერი გახლავთ ფინელი რობერტ ჰელენიუსი, მეორე - უკრაინული წარმოშობის გერმანელი ალექსანდრ დმიტრენკო, მესამე - ამერიკელი კრის არეოლა. რაც შეეხება ჩემპიონ ვლადიმერ კლიჩკოს, ის ამჟამად მთლიანად არის კონცენტრირებული დეკემბრის ბრძოლაზე, რომელშიც ის ფრანგ ჟან-მარკ მორმეკს შეხვდება.

„დუნადენისთვის“ ეს იყო 28-ე სტარტი კარიერაში და მერვე გამარჯვება. ფრანგულმა ცხენმა ამ ტრიუმფისთვის სამი მილიონ 600 ათასი ამერიკული დოლარი მოიპოვა. ავსტრალიური დოლის წესებით ვა თანხის 85 პროცენტი ცხენის მფლობელ შეის ფაჰად ალ-თანის ეკუთვნის, 10 პროცენტს მიიღებს მწვრთნელი მიკელ დელზანგლი, ხოლო ხუთი პროცენტი ეკუთვნის ჟოკეის კრისტოფ ლემერს.

გვიჩვენებთ გია თხალაპაიშვილმა



მელბურნ ქაფის ფინიში